ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 14 – 15 მარტი, 2020

№62 (8326)

ფასი: 60 თეთრი

გვ.5

„ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წესის დარღვევით აქვს წარდგენილი“

ბესიკ თამლიანი პატიმრობაში დატოვეს

გვ.5

10 მარტიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



„თუ პოლიტპატიმრებს არ გამოუშვებენ, საარჩევნო კანონის ცვლილებას ოპოზიცია ხმას არ მისცემს“

გიორგი ვაშაძე: „ვადა 2-3 კვირა აქვთ“

გვ.3

დავით უსუფაშვილი: „სასამართლოში პრობლემა არა ცუდმა მოსამართლეებმა, არამედ პოლიტიკოსებმა შექმნეს“

გვ.3

რატომ არ მოაწერა ხელი „ლელომ“ სასამართლო რეფორმაზე ოპოზიციის მემორანდუმს

მურმან დუმბაძე: „საქართველო კოალიციურ მმართველობაზე უნდა გადავიდეს“

გვ.3

გვ.4

გიორგი გაჩეჩილაძე: „რუსეთი საქართველოს არჩევნებში ჩარევას აპირებს“

სოფო კილაძე: „ნაციონალური მოძრაობისა და მისი სატელიტი პარტიების ცრემლების არ მჯერა“

გვ.2

გვ.2

მიხეილ სააკაშვილი: „კრიჭაში ჩადგომის დრო არ არის“



გვ.2

აჭარის ტელევიზიის წამყვანი თეონა ბაკურიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს

ISSN 1987-9385

4 ვინ ყიდულობს დოლარს, ვინ ახდენს დოლარით სპეკულირებას და ვინ შოულობს ამ გასაჭირში ფულს

5 თვითიზოლაციის წესების დარღვევისთვის იძულებით კარანტინში 9 ადამიანი გადაიყვანეს

5 შსს თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით აქტიურად განაგრძობს

6 ესპანეთში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

სოფო კილაძე: „ნაციონალური მოძრაობისა და მისი სატელიტი პარტიების ცრემლების არ მჯერა“



– ნაციონალური მოძრაობისა და მისი სატელიტი პარტიების ცრემლების მე არ მჯერა.

ამის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც გამოეხმაურა ოპოზიციური პარტიების მიერ სასამართლო რეფორმის თაობაზე მემორანდუმის გაფორმებას.

კილაძის განცხადებით, ნაციონალურ მოძრაობას სასამართლო რეფორმის მიმართულებით რამის გაკეთება რომ სდომებოდა, ხელისუფლებაში ყოფნის დროს გააკეთებდა.

– ნაციონალურ მოძრაობასა და მის სატელიტებს ისეთი სასამართლო რომ სდომებოდათ, როგორიც განვითარებულ, დასავლურ ქვეყნებშია, ისეთ წნეხში არ ეყოლებოდათ მოსამართლეები და პროკურატურა, როგორშიც ჰყავდათ. გამამართლებელი განაჩენები 1% იყო. თუ ასეთი კარგი ხედვა ჰქონდათ და რამე უნდოდათ, მაშინ შეეძლოთ გაეკეთებინათ. ახლა „ფიცის მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, ანდაზისა არ იყოს, ასეთი სიტუაციაა. მე არ მჯერა მათი ცრემლების, – განაცხადა კილაძემ.

20-მდე ოპოზიციურმა პარტიამ სასამართლო რეფორმის თაობაზე მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმზე ხელმომწერი პოლიტიკური პარტიები თანხმდებიან, რომ „2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხების შემდეგ, სასამართლო სისტემის რეალური დამოუკიდებლობის მისაღწევად და მისდამი ნდობის სწრაფად გაჩენის მიზნით, განახორციელებენ რეფორმებს და დაისახავენ სხვადასხვა ამოცანას“.

მიხეილ სააკაშვილი: „კრიჭაში ჩადგომის დრო არ არის“

– ახლა ერთმანეთის მიმართ კრიჭაში ჩადგომის დრო არ არის. საზოგადოება უნდა დაუდგეს სამედიცინო სისტემას და მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გადაჭრას მისი პრობლემები.

ეს განცხადება საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 13 მარტს გააკეთა.

მისივე თქმით, პრაქტიკულად ბევრი საავადმყოფოს პერსონალი დარჩენილია ხელფასების გარეშე და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასწრაფოდ იქნას გასტუმრებული მათი დავალიანება.

– ჩვენ გვაქვს საკმაოდ განვითარებული ჰოსპიტალური ინფრასტრუქტურა, რომელიც მე დავტოვე და რიჩარდ ლუგარის ცენტრი, რომელიც ჩემმა მეგობარმა ააშენა, რომელიც საქართველოს ქმნის უფრო დაცულად, ვიდრე დაცულია რეგიონის ნებისმიერი სხვა ქვეყანა.

ახლა ამ სისტემაში არის პრობლემები, პრაქტიკულად ბევრი საავადმყოფო, ჩვენ მიერ დატოვებული, არის დარჩენილი რესურსებისა და მათი პერსონალი არის დარჩენილი ხელფასების გარეშე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასწრაფოდ გასტუმრებული იქნას მათი დავალიანება. მოძებნილ იქნას ახალი ლოკაციები დაავადებასთან საბრძოლველად და სასწრაფოდ მოხდეს სამედიცინო პერსონალის დატრენინგება.

მე მინდა, მადლობა ვუთხრა თითოეულ მათგანს, ჩვენს ექიმებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ებრძვის ამ დაავადებას. ჩვენ გვყავს საკმაოდ კარგი სპეციალისტები და მნიშვნელოვანია, რომ მათ რჩევას დავუგდოთ ყური და არ ავყვეთ პანიკას. ახლა ერთმანეთის მიმართ კრიჭაში ჩადგომის დრო არ არის. საზოგადოება უნდა დაუდგეს სამედიცინო სისტემას და მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გადაჭრას მისი პრობლემები, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

14-დან 24 მარტამდე საქართველო-სომხეთსა და საქართველო-აზერბაიჯანს შორის მოქალაქეების გადაადგილება შეჩერდება

14 მარტიდან, 10 დღის განმავლობაში, საქართველო-სომხეთსა და საქართველო-აზერბაიჯანს შორის მოქალაქეების გადაადგილება დროებით შეჩერდება.

13 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ტელეფონით ესაუბრა სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებს.

სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანსა და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრ აღი ასადოვთან საუბრის შედეგად, მიღებულია ერთობლივი გადაწყვეტილება 2020 წლის 14 მარტიდან, 10 დღის განმავლობაში საქართველო-სომხეთსა და საქართველო-აზერბაიჯანს შორის მოქალაქეების გადაადგილების დროებით შეჩერების შესახებ.

ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ უზრუნველყოფენ სამშობლოში დაბრუნების სურვილის მქონე საკუთარი მოქალაქეების ქვეყანაში შეუფერხებელ შესვლას.

შეზღუდვები არ ვრცელდება სატვირთო გადაზიდვებზე.

აჭარის ტელევიზიის წამყვანი თეონა ბაკურიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს

13 მარტს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი თეონა ბაკურიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს.

შეგახსენებთ, რომ თეონა ბაკურიძე რამდენიმე დღის წინ ეთერიდან მოხსნეს.

სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილებას ტელევიზიის დირექტორმა გიორგი კოხრეიძემ მოაწერა ხელი.

დირექტორის ბრძანებაში ეთერიდან მიხსნის მიზეზად საინფორმაციო სამსახურის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელ გიორგი აბაზაძეზე ფსიქოლოგიური ზეწოლა სახელდება და ნათქვამია, რომ ბაკურიძემ აბაზაძეს არ მისცა საქმიანობის განხორციელების უფლება.

– საქმეში შეკრებილი მასალების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დასაქმებულმა უხეშად დაარღვია მაუწყებლის შრომის შინაგანაწესი და მასთან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც მის მიმართ დისციპლინური სანქციის დაკისრების საფუძველია, – წერია განცხადებაში.

რუსთავში „ალდაგის“ სამარშრუტო ხაზმა მუშაობა შეაჩერა

რუსთავში „ალდაგის“ სამარშრუტო ხაზმა მუშაობა შეაჩერა.

მგზავრების სიმცირის გამო მძღოლები გეგმური გადასახადის 70 ლარიდან 50 ლარამდე შემცირებას ითხოვენ, რასაც კომპანია არ თანხმდება.

მხარეები მოლაპარაკებისთვის მზად არიან, თუმცა უცნობია, როდის შეძლებს „ალდაგის“ სამარშრუტო ხაზი რუსთავიდან თბილისის მიმართულებით მგზავრების გადაყვანას.

მძღოლების თქმით, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია გეგმის გადასახადის სრულად დაფარვა, ვინაიდან იგრძნობა მგზავრთა ნაკადის კლება.

– ვითხოვეთ გეგმის გადასახადის 20 ლარით შემცირება, რაზეც მივიღეთ უარი. გვირჩევნია, გავაჩეროთ ხაზი და შევწყვიტოთ მუშაობა, – აღნიშნა მძღოლმა მერაბ შარიქაძემ.

– მგზავრთა სიმცირის გამო, მძღოლები ისედაც შემცირებულ გადასახადს იხდიან. კომპანია ამ ეტაპზე სხვა დათმობაზე ვერ წავა, თუმცა ვაცხადებთ, რომ ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, – განაცხადა კომპანია „ინტერტრანსის“ საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სოფო ცერცვაძემ.

– ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ კომპანიასა და მძღოლებს შორის გეგმასთან დაკავშირებით არის გარკვეული უთანხმოება, ჩვენ მოვუწოდებთ კომპანიას და მძღოლებს, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ დააზარალებს ქალაქს და მოემსახურება მგზავრებს, – განაცხადა ტრანსპორტის მართვისა და კონტროლის განყოფილების სამსახურის უფროსმა დავით გიორგაძემ.

ტურიზმის ბიზნესოპერატორებს გადასახადის გადახდა გადაუვადდათ

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უფროს ლევან დგებუაძის განცხადებით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ტურიზმის სექტორში დასაქმებულ პირებს, შესაძლებლობა ეძლევათ მოახდინონ დეკლარირებული ვალდებულების გადახდის გადავადება 4 თვით მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე განთავსების ობიექტებზე (სასტუმრო, ჰოსტელი) ტუროპერატორებზე, ტურისტების სატრანსპორტო მომსახურებაზე, ტურისტების კვებაზე, ტურისტების გართობის ობიექტებზე და სხვ.

ამის შესახებ ლევან დგებუაძემ 13 მარტს ბრიფინგზე განაცხადა, რითაც ტურისტული სექტორისთვის გადასახადების გადავადებას გამოეხმაურა

– შეღავათი შეეხება საშემოსავლო და ქონების გადასახადის დეკლარაციებს, რომელთა წარმოდგენაც განხორციელდება მარტის, აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში. აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილ დეკლარირებულ დავალიანებაზე არანაირი იძულების ღონისძიება არ გატარდება, ხოლო შესაბამის ნაწილში დარიცხული საურავი დაექვემდებარება ჩამოწერას საშეღავათო პერიოდის დასრულებისთანავე, – განაცხადა ლევან დგებუაძემ.

მისი თქმით, აღნიშნული შეღავათით სარგებლობა შესაძლებელი იქნება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე შესაბამისი განაცხადის (ელექტრონული ფორმით) წარდგენით, რომელიც ხელმისაწვდომი მიმდინარე წლის 16 მარტიდან იქნება.

ლევან დგებუაძემ გადასახადების გადამხდელებს, კიდევ ერთხელ მოუწოდა კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებისა და სერვისებით სარგებლობისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ ელექტრონული და დისტანციური მომსახურების შესაძლებლობა.

როგორც მან განაცხადა, დამატებითი კითხვების შემთხვევაში გადამხდელებს შეუძლიათ, დეტალურ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე გაეცნონ ან ისარგებლონ სატელეფონო ცენტრის სერვისით (2.299.299).

ბრაზილიის პრეზიდენტი ბოლსონარო: „კორონავირუსი არ დამიდასტურდა“

13 მარტს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრაზილიის პრეზიდენტ ედუარდო ბოლსონაროს კორონავირუსი დაუდგინდა.

მოგვიანებით მისმა შვილმა ედუარდო ბოლსონარომ ეს ცნობა უარყო.

– ახლა რა ინფორმაციაც მაქვს, კორონავირუსის ანალიზი უარყოფითია. პირველმა კვლევამ დადებითი აჩვენა. ახლა ყველაფერი კარგად არის, – აღნიშნა ედუარდომ.

მალე თავად პრეზიდენტმაც დაწერა ტვიტერში, რომ ტესტმა კორონავირუსზე უარყოფითი შედეგი აჩვენა.

ჟაირ ბოლსონარო რამდენიმე დღის წინ ვიზიტად აშშ-ში იმყოფებოდა, სადაც დონალდ ტრამპს შეხვდა. შეხვედრაზე იმყოფებოდა მისი თანაშემწეც, რომელსაც 12 მარტს კორონავირუსი დაუდგინდა.

ქარიშხალი მოსკოვში — დაღუპულია ერთი ადამიანი, წაქცეულია 200 ხე

მეორე დღეა, მოსკოვში ქარიშხალი მძვინვარებს. ქარიშხალმა 200-ზე მეტი ხე წააქცია. ერთ-ერთი ხე გამვლელ ავტომობილს დაეცა, რის გამოც მანქანის მძღოლი დაიღუპა. არიან დაშავებულები. დაზიანებულია 20-მდე ავტომანქანა.

ქარის სიჩქარე რუსეთის დედაქალაქში 25 მეტრ/წამს აღწევს. გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. გაუქმებულია 15 და შეჩერებულია 39 ავიარეისი.

საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო მოქალაქეებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ ქუჩაში სიარულისგან, თუ ეს აუცილებელი არ არის და მოერიდონ სარეკლამო აბრებს, ხეებსა და სხვა მყიფე კონსტრუქციებს.

საკანში არიან პატიმრები, რომლებსაც აქვთ სიცხე და არ აძლევენ მედიკამენტს?!

სპეციალური პენიტენციარული სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ადვოკატ კობაიძეს მოუწოდებს, არ გაავრცელოს ცრუ ინფორმაცია. ადვოკატი ალეკო კობაიძე სოციალურ ქსელში წერს, რომ თითქოს მას დაუკავშირდნენ მერვე პენიტენციარული დაწესებულებიდან და მიაწოდეს ინფორმაცია, რომ საკანში არიან პატიმრები, რომლებსაც აქვთ სიცხე და არ აძლევენ მედიკამენტს.

კობაიძეს სოციალურ ქსელში პასუხობს სპეციალური პენიტენციარული სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, გიორგი ჩიდრაშვილი, რომელიც კობაიძეს მოუწოდებს, რომ არ გაავრცელოს ცრუ ინფორმაცია. ამასთან, ჩიდრაშვილი განმარტავს, რომ ყველა პენიტენციარული დაწესებულება მომარაგებულია საჭირო მედიკამენტებით.

„ბატონო ალექსანდრე, როგორც №8 პენიტენციარული დაწესებულება, ასევე საქართველოს ყველა დაწესებულება სრულად უზრუნველყოფილია გაციების საწინააღმდეგო მედიკამენტებით, არსებობს მარაგებიც და ძალიან გთხოვთ, გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან თავი შეიკავეთ და ნუ თესავთ პანიკას მოსახლეობაში“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„თუ პოლიტპატიმრებს არ გამოუშვებენ, საარჩევნო კანონის ცვლილებას ოპოზიცია ხმას არ მისცემს“

გიორგი ვაშაძე: „ვადა 2-3 კვირა აქვთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ახალი საქართველოს ლიდერი **გიორგი ვაშაძე** პასუხობს.

– ბატონო გიორგი, 20-მდე ოპოზიციურმა პარტიამ სასამართლო რეფორმის თაობაზე მემორანდუმი გააფორმეთ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ სასამართლო რეფორმის გატარების შესახებ. რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ ხელი არ მოაწერა ამ მემორანდუმს. რატომ არ იყო ერთსულოვნება?

– რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას თუ არ ჩავთვლით, პირიქით, დიდი ერთსულოვნება იყო. რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ შეიკავა თავი და ზოგი აპირებს, შეუერთდეს ამ დოკუმენტს და შეგიძლიათ, თავად მათ ჰკითხოთ. ძირითადი ოპოზიციური პარტიები წარმოდგენილი იყვნენ აქ და მონაწილეობა მიიღეს მათ ხელმოწერაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შინაარსობრივად ეს არის ისტორიული დოკუმენტი.

– რატომ არის ისტორიული, ასეთი რა დატვირთვა აქვს?

– ჩვენ ამ ხელმოწერით ვალდებულება ავიღეთ, რომ მომავალ პარლამენტში ამ ცვლილებებს დავუჭერთ მხარს. ეს არის ფორმულა, როგორ შევქმნათ ახალი სასამართლო სისტემა, რომელიც სამ მიზანს ისახავს. პირველი არის, რომ მოქალაქე იყოს დაცული, მეორე – დამთავრდეს პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის სასამართლოს გამოყენება და მესამე, ძალიან მნიშვნელოვანი, ქართულ ბიზნესსა და ინვესტორებს ჰქონდეთ ნდობა, რომ მათ საკუთრებას არავინ შეეხება და უპრობლემოდ შეძლებენ სამუშაო ადგილების შექმნას.

ამიტომ ვფიქრობ, რომ მართლა გარღვევაა ეს პროცესი. ინიციატივებიც ძალიან მნიშვნელოვანია.

– რა ინიციატივებია?

– ეს არის ნაფიცი მსაჯულები, მოსამართლეების პირდაპირ არჩევა პირველ ინსტანციაში, უცხოელი მოსამართლეები საქართველოს სასამართლო სისტემაში, იუსტიციის საბჭოს რეფორმირება, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გაერთიანება, ამ კლანის უვადოდ დანიშნული მოსამართლეების გაშვება სასამართლო სისტემიდან და ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების პრეცედენტად მიღება საქართველოში, ანუ შინაარსობრივად რომ დაეყრდნოს ქართული სასამართლო ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომელთაც ყველაზე მაღალი ნდობა აქვს დღეს მსოფლიოში.

– ლელომ, ეკა ბესელიამ, თავისუფალმა დემოკრატებმა ხელი არ მოაწერეს აღნიშნულ მემორანდუმს, უფრო რადიკალური ცვლილებებია საჭიროო.

– მე ამაზე რადიკალურ ცვლილებებს ვერც კი წარმოვიდგენ. ერთი კომპონენტი მაინც დაასახელოს ვინმემ, ამაზე რადიკალური რა შეიძლება იყოს. უბრალოდ, ჩვენ გვქონდა ყველა მათგანთან კომუნიკაცია და თქვენც შეგიძლიათ, ჰკითხოთ და გაიგოთ მათი პოზიცია, რომ ისინი ძალიან პოზიტიურად აფასებენ ამ დოკუმენტს.

– მაშინ, რა მოხდა?

– ყველას თავისი პოლიტიკური კამპანიის სტრატეგია აქვს და ვიღაცამ შეიძლება ჩათვალა, რომ არ უნდოდა, ახლა ხელი მოეწერა ამ დოკუმენტზე, მაგრამ...

– ასევე მნიშვნელოვანია შეთანხმება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. თქვენ ესწრებოდით ამ შეხვედრას. სხვადასხვა ინტერპრეტაცია მიეცა ამ ყველაფერს. გიორგი ვაშაძე ტყუიან ლებს ლაპარაკობსო, დაგაბრალათ ხელისუფლებამ. რა მოხდა რეალურად იმ დღეს? ცხადია, რომ კონკრეტული გვარები არ ჩაწერილა ამ დოკუმენტში, თუ ვინ უნდა შეინწყალონ, ანუ სიტყვაზე ენდეთ ხელისუფლებას?

– გვარები ვერც ჩაიწერებოდა ამ დოკუმენტში.

– მაშინ, რომელი მხარე ტყუის, ხელისუფლება თუ თქვენ – ოპოზიცია?

– ამერიკის სენატორებმა დაადასტურეს ეს თავისი განცხადებით, რომლებმაც მოუწოდეს ხელისუფლებას დროულად შეთანხმების შესრულებისა და პატიმრების გათავისუფლებისკენ. აქედან გამომდინარე, ყველაფერი დღესავით ნათელია.

ძალიან ვწუხვარ, რომ საერთოდ ასეთი დაბნეულობა შეაქვს ხოლმე „ქართულ ოცნებას“ საკუთარი განცხადებებით. მთავარია, რომ პირობა შესრულდეს.

– შესრულდება?

– ეს პირობა აუცილებლად იქნება შესრულებული. სხვა გზა „ქართულ ოცნებას“ არ აქვს!

– წინააღმდეგ შემთხვევაში, რა იქნება? გამოდის, რომ ელჩებიც უნდა გადააგდონ?

– არც კი მინდა ვიფიქრო, წინააღმდეგ შემთხვევაში რა იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს თვითონ „ქართული ოცნებისთვის“ იქნება კატასტროფა და თვითონაც კარგად ხვდება ამას!

– პირად საუბრებში მოგცეს იმის გარანტია, რომ გამოუშვებდნენ?

– აბა, ტყუილად ხომ არ ვითხოვთ ამ ყველაფერს.

– ითქვა, რომ სიტყვა პოლიტპატიმარი არ უნდა ყოფილიყო ნახსენები. ისე გამოვუშვებთ, ოღონდ პოლიტპატიმრებს ნუ გვაღიარებინებთო, იყო მსგავსი საუბრები?

– რა თქმა უნდა, იყო. აბა, მეორე დოკუმენტს რატომ მოვაწერეთ ხელი?! ჰაერზე ხომ არ მოვაწერეთ ხელი?! ჩვენ ორ დოკუმენტს მოვაწერეთ ხელი, შეთანხმება ითვალისწინებს ორ საკითხს: საარჩევნო სისტემასა და პატიმრების გათავისუფლებას!

საერთოდ არ დავეძებ ახლა, ისინი პოლიტიკურს უწოდებენ თუ არ უწოდებენ. კონკრეტული გვარებია, ვინც უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

– გამოდის კულუარული ინფორმაციები, რომ ოპოზიციაში ზოგი რადიკალურად ითხოვს გიგი უგულავას გათავისუფლებას, ხოლო ირაკლი ოქრუაშვილის გამოშვებას თავად ოპოზიციაში აქვს ნაკლები მხარდაჭერა. რა ხდება, რამდენად ხართ ყველა ერთ პოზიციაზე?

– არ არის ასე. მე, პირადად, ყველაფერს ვაკეთებ ოპოზიციის ერთიანობისთვის და ოპოზიციის ერთიანი პოზიცია არის ოთხივე გვარზე, რომელზეც იყო საუბარი. მორჩა და გათავდა.

– რა ვადებში უნდა მოხდეს გათავისუფლება? გასაგებია, რომ გიგი უგულავას გამოშვებას გაცილებით მეტი პროცედურა სჭირდება, მაგრამ დანარჩენი? თუნდაც ახლა, როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით, სასამართლომ ბესიკ თამლიანი კვლავ პატიმრობაში დატოვა. ამაზე რას იტყვით?

– ჩვენ მოთმინებით უნდა შევხედოთ ამ

პროცესს. ჯერ კიდევ არის დრო იმისთვის, რომ ეს პირობა არ იქნეს დარღვეული და გათავისუფლებულ იქნენ ეს ადამიანები პატიმრობიდან. დაველოდოთ.

მე მესმის, რომ სწრაფად გვინდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე მარტივად არ მიდის საკითხი. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ამაზე შეთანხმება მოხდა, ადასტურებს სენატორების წერილები, რომლებიც მოვიდა მყისიერად, ჩვენი შეთანხმების შემდეგ.

– მაშინ თამლიანის პატიმრობაში დატოვება რას ნიშნავდა?

– არ ვიცი, ეს „ქართულ ოცნებას“ უნდა ჰკითხოთ, მაგრამ ჩვენი მხრიდან ხმის მიცემა არ იქნება ასეთ შემთხვევაში საარჩევნო სისტემაზე, თუ პატიმრების საკითხი არ გადაწყდა. ეს ხომ ცალსახაა. შესაბამისად, ეს დროც უვადოდ ვერ გაიჭიმება.

– მაინც რა ვადებზეა საუბარი?

– ეს არ არის საათების საქმე, მაგრამ ეს არ არის არც თვეების საქმე. ნამდვილად არ დავიწყებთ სპეკულაციებს დროსთან დაკავშირებით, მაგრამ გონივრულ ვადაში ეს ყველაფერი უნდა შესრულდეს. ჩემი აზრით, პირველი მოსმენით პარლამენტში გატანამდე ყველაფერი დამთავრებული უნდა იყოს.

– ანუ რა ვადაში?

– საშუალოდ იგულისხმება ორი-სამი კვირის ვადა!

დავით უსუფაშვილი: „სასამართლოში პრობლემა არა ცუდმა მოსამართლეებმა, არამედ პოლიტიკოსებმა შექმნეს“

რატომ არ მოაწერა ხელი „ლელომ“ სასამართლო რეფორმაზე ოპოზიციის მემორანდუმს

იაგო ნაცვლიშვილი

ოცმა ოპოზიციურმა პარტიამ მართლმსაჯულების რეფორმის ხუთპუნქტიანი გეგმა წარადგინა, რომელსაც, მათი თქმით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაატარებენ, თუ ხელისუფლებაში ოპოზიციურ პარტიათა კოალიცია მოვა. პარტიებმა აღნიშნულთან დაკავშირებით მემორანდუმსაც მოაწერეს ხელი.

მემორანდუმს ხელი არ მოაწერა რამდენიმე პოლიტიკურმა მოთამაშემ. მათ შორის ერთ-ერთი პოლიტიკური მოძრაობა „ლელოა“. რა არის მათი გადაწყვეტილების მოტივაცია და რა გავლენა შესაძლოა ჰქონდეს

კორონავირუსს ქართულ პოლიტიკაზე, კერძოდ კი საარჩევნო მოდელის (120/30-ზე) კონსტიტუციაში ასახვასთან დაკავშირებით? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი** საუბრობს.

– როგორია თქვენი ხედვა იმ რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგინა ოპოზიციამ სასამართლოს გაჯანსაღებისთვის? „ლელოს“ წარმომადგენლები არ იყავით შეხვედრაზე. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ არ ეთანხმებით მემორანდუმს, რომელიც ამ საკითხზე გაფორმდა?

– „ლელო“ სრულად იზიარებს საკითხის დასმას, რომ მართლმსაჯულების სისტემაში საჭიროა გადამჭრელი, მკვეთრი ზომების მიღება, მაგრამ „ლელოს“, ცოტა არ იყოს, განსხვავებული ხედვები აქვს რამდენიმე ინსტრუმენტთან მიმართებით, თუმცა, ვფიქრობთ, რომ საწყის ეტაპზე ამაზე საუბრის დაწყება კარგია.

ამ განსხვავებულობის მიუხედავად, რის გამოც ჩვენ არ ვართ ამ ინიციატივაზე ხელის მომწერნი, ვთვლით, რომ მომავალში აუცილებლად მოხერხდება პოზიციების დაახლოება, რათა მომავალ პარლამენტში ეფექტიანი ნაბიჯები გადაიდგას მართლმსაჯულების სისტემის გამოსასწორებლად.

– რა არის თქვენი ხედვა, რომელსაც არ ეთანხმებით და რომელიც რეფორმის გეგმაში უნდა იყოს წარმოდგენილი?

– „ლელო“ უახლოეს ხანებში გააკეთებს „ლელოს“ მოდელის პრეზენტაციას. მანამდე არ მინდა კუპიურებად ამ თემაზე საუბარი. ყველას გვესმის, რომ ეს არის კომპლექსური პრობლემა, ამიტომ მას სჭირდება კომპლექსური პროგრამა, მაგრამ კარგია, რომ პრაქტიკულად სრულიად ოპოზიციური სპექტრი თანხმდება იმაზე, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება და ეს სისტემა, რომელიც ჩვენ გვაქვს, არის რამდენიმე ხელისუფლების დამანგრეველი პოლიტიკის შედეგი მართლმსაჯულების სისტემაში და საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება.

ეს არის მნიშვნელოვანი თემა და მისასალმებელია, რომ ამაზე დაიწყო ოპოზიციამ მსჯელობა და ხედვების წარმოდგენა.

– ის მაინც მითხარით, რას არ ეთანხმებით 20 პარტიის წარმოდგენილ ხედვაში?

– ერთზე მიგანიშნებთ – მართლმსაჯულების სისტემაში პრობლემა შექმნეს არა ცუდმა მოსამართლეებმა, არამედ ცუდმა პოლიტიკოსებმა – პრემიერებმა, მინისტრებმა, პრეზიდენტებმა. ჩვენ ხომ არ ვლაპარაკობთ იმას, რომ ცუდი პოლიტიკოსები მოვიწვიოთ მთავრობის მეთაურებად!

– ანუ მიიჩნევთ, რომ უარი არ უნდა ვთქვათ ქართველ მოსამართლეებზე სრულად, როგორც ეს 20 პარტიის წარმოდგენილი?

– მოსამართლეები არაფერ შუაში არ არიან. მე ვსაუბრობ ქართველ იურისტებზე. თუ სისტემა არის მახინჯი, ეს არის არა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მურმან დუმბაძე: „საქართველო კოალიციურ მმართველობაზე უნდა გადავიდეს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მურმან დუმბაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ოპოზიცია რატომ ამბობს უარს საკონსტიტუციო განხილვებში მონაწილეობაზე? დავით ბაქრაძე აცხადებს, იმავე წრეზე გავლას არ ვაპირებთო.

– სრულიად ვეთანხმები დავით ბაქრაძეს, რომელიც საპარლამენტო ოპოზიციის წევრია. მეტიც, არასაპარლამენტო ოპოზიციამაც უარი უნდა თქვას საკონსტიტუციო განხილვებში მონაწილეობაზე. შეთანხმებაში შავით თეთრზე ორი პუნქტი წერია. ერთი ეხება საარჩევნო კანონმდებლობას და მეორე – პოლიტპატიმრებს. ორივე პირობა უნდა შესრულდეს. ხელშეკრულებაში დადებული ორი პირობიდან ერთი თუ არ სრულდება, მაშინ შეთანხმება არ სრულდება.

– თუ ხელისუფლება უარს იტყვის დაკავებულების გათავისუფლებაზე, მერე რა ხდება?

– ამ შემთხვევაში ხელისუფლებას დამოუკიდებლად მოუწევს იმ რეფორმების განხორციელება, რომლებიც საარჩევნო კანონს ეხება და საკონსტიტუციო ცვლილებებს უკავშირდება.

გეკითხებით, ერთი თამლიანი ატრიალებდა სახელმწიფოს?! მის გვერდით 200-300 კაცი იყო. მაშინ, ისინიც დააკავონ იმავე მუხლით. ერთი თამლიანი და ერთი ირაკლი ოქრუაშვილი სახელმწიფოს ვერ გადაატრიალებდნენ.

ასეთია შეთანხმება და ახლა კეთილი ინებონ და ეს შეთანხმება ბოლომდე შეასრულონ, მხოლოდ საარჩევნო კოდექსის ცვლილება არ არის საკმარისი.

– გამოდის, „ოცნებამ“ მეორე წრეზე გადაგაგდოთ?

– არა, არა, ვერ გადაგვაგდებს! ძალიანაც უნდა, შეიძლება, მაგრამ ახლა ვერ იზამს ამას.

– რატომ?

– ამ შეთანხმებაში მთელი დასავლეთის ელჩები იყვნენ ჩართული, ამიტომ იძულებული იქნებიან და მათ მოუწევთ შეთანხმების შესრულება.

– დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს, რომ ოპოზიცია დესტრუქციული გზით ცდილობს შეთანხმების დარღვევას.

– არა, ასე არ არის. ვერავითარ დესტრუქციაზე ვერ იქნება ლაპარაკი, რადგან შეთანხმების შესრულებას ვითხოვთ ჩვენ და არა სხვა რამეს. დესტრუქცია იქნებოდა, სხვა მოთხოვნები რომ წამოგვეყენებინა.

– „ქართული ოცნება“ 60%-ის ასაღებად ემზადება, რომ არავისთან დასჭირდეს კოალიცია. შეძლებს ამას?

– ღმერთმა ხელი მოუმართოთ! თუ „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებზე 60%-ს აიღებს, მაშინ მე მათ ადგილზე ასეთ პროპორციას გავაკეთებდი – 150-0-ზე. სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას დავაანონსებდი არჩევნებიდან მეორე დღესვე. 60% თითქმის 100 კაცია ანუ აბსოლუტური უმრავლესობა. 13 კაცი აკლდებათ საკონსტიტუციო უმრავლესობამდე.

ეს არის წინასაარჩევნოდ გაკეთებული განცხადება და მათ ამის უფლება აქვთ. ოპოზიცია სხვანაირად ფიქრობს, რადგან ის ეყრდნობა ხალხის განწყობებს, იმ რეალობას, რომელიც დღეს საქართველოს ქალაქებში, სოფლებში, ქუჩებშია.

მე, პირადად, ვეყრდნობი იმ გამოცდილებას, რომელიც, აგერ უკვე 30 წელია, რაც არჩევნებში ვმონაწილეობ და რაც დამიგროვდა. საქართველოში, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ვერც ერთმა ხელისუფლებამ, რომელიც აბსოლუტური უმრავლესობით მოვიდა ქვეყნის სამართავად, ვერ გაამართლა ამომრჩევლის, ამ ქვეყნის იმედები, ამიტომ საქართველო უნდა გადავიდეს კოალიციურ მმართველობაზე.

– ძალიან რთული რომ არის მმართველობის ეს ფორმა?

– სხვა გზა არ გვაქვს.

გიორგი გაჩეჩილაძე: „რუსეთი საქართველოს არჩევნებში ჩარევას აპირებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის უმრავლესობის წევრი, მწვანეთა პარტიის ლიდერი **გიორგი გაჩეჩილაძე** პასუხობს.

– ბატონო გიორგი, საქართველოს გამოწვევები არ აკლდა და კორონავირუსიც დაემატა. კორონავირუსმა შეგაშინათ და დისტანციურად მუშაობთ?

– ჩვენი ჯანდაცვის სისტემა ძალიან ეფექტურად მუშაობს. კორონავირუსით მსოფლიოში 5 ათასამდე გარდაცვლილია. ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენთან არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ეს მიუთითებს მუშაობის ეფექტურობაზე. საქართველოში ჯანდაცვის სისტემა 2012 წლამდე საერთოდ მოშლილი იყო. არ მუშაობდა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემა. გაეროს მონაცემებით, რომელიც 2013 წელს გამოქვეყნდა, 2011-2012 წლებში (ანუ ნაცმოძრაობის ბოლო წლებში და რაც მათ დაგვიტოვეს) ჯანმრთელობის დაზღვევა არ ჰქონდა ოჯახების 83%-ს.

სანიტარიული კუთხით მომარაგება (რაც მნიშვნელოვანია ჰიგიენისთვის და გადამდები დაავადების დროს) არ ჰქონდა ოჯახების 54%-ს. ეს არის 500 ათასი ოჯახი. ქრონიკული დაავადებებით დაავადებულთა 78-80% ვერ მიდიოდა ექიმთან უფულობის გამო.

– ამით რა გინდათ თქვათ?

– იმის თქმა მინდა, რომ საყოველთაო დაზღვევამ უამრავი ადამიანი გადაარჩინა. ამას ემატება „ც“ ჰეპატიტის პროგრამა, რომლის ფარგლებში 50 ათასი ადამიანი სიკვდილს გადაურჩა. არსებობს უამრავი უფასო სკრინინგის პროგრამა ონკოლოგიურ დაავადებებთან დაკავშირებით.

ამ ფონზე წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ, თითქოს ხელისუფლება ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს. ისინი პირდაპირ მოუწოდებდნენ ამ ხალხის წინასწარვე გაწურვას, მათი მკურნალობისთვის გაღებული თანხები შავ ხვრელში გადაყრილი ფულიაო.

– ძალიან აღშფოთებული ხართ ხოლმე ნაცმოძრაობის განცხადებებით.

– წარმოუდგენელი ამბავია, განსაკუთრებით, ყოფილი ჯანდაცვის მინისტრის განცხადება.

– ჭიაბერაშვილზე საუბრობთ?

– დიახ, ჭიაბერაშვილის განცხადებას ვგულისხმობ. უმნიშვნელოვანესი რეფორმის ფონზე,

საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს წინა ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციებს. წარმოიდგინეთ, რას კადრულობენ მათი წარმომადგენლები და მათი ტელევიზიები – როგორ შეურაცხყოფას აყენებენ ჯანდაცვის გმირ წარმომადგენლებს, გამყრელიძის გუნდსა და ზოგადად ჯანდაცვის სამინისტროს გუნდს.

– გიორგი ვაშაძემ თქვა, ჩვენ გვაქვს კრიზისების მართვის გამოცდილება, გეგმაც გვაქვს, შეგვიძლია, ხელისუფლებას დაეხმაროთ და მათთან ერთად ვიმუშაოთ კრიზისის დარეგულირებაზე, თუ ისინიც თანახმა იქნებიანო.

– გიორგი ვაშაძე იყო ის ადამიანი, რომელიც ცოტა ხნის წინ ამბობდა, ჩვენ შავ ხვრელში ვყრით ფულს, როდესაც მომაკვდავ ადამიანებს ვაფინანსებთო. არ გახსოვთ? ამიტომ, ჯობს, საერთოდ გაჩუმდნენ. ბოლოს და ბოლოს, ხალხს ყელში ამოუვიდა ნაცმოძრაობის ამდენი ბოროტების ყურება და სმენა.

მინდა, ყველას მივმართო, საერთოდ, რელიგიურადაც კი, ბიბლიის მიხედვით, ბოროტების (იქ სატანაა მოხსენიებული) მხარდაჭერა უდიდესი ცოდვაა. ხომ უნდა შეაფასონ, რას აკეთებენ მაგათი ტელევიზიები, როგორ ცდილობენ, საქართველოში პანიკა დათესონ, საზოგადოებას უნდობლობა გაუჩინონ და ხალხი ისტერიკაში ჩააგდონ.

– ამ სიტუაციაში, საარჩევნო სისტემაზე შეთანხმების შემდეგ, ისიც კი მოვისმინე, რომ ახლა ნაცები და „ოცნება“ ითანამშრომლებენ, ზოგი ახალ კოალიციაზეც კი ალაპარაკდა, თქვენ კი აკრიტიკებთ.

– თქვენ ყურადღება უნდა მიაქციოთ ამერიკის ხელისუფლების იმ წარმომადგენლის ბოლო განცხადებას, რომელიც კრიტიკით გამოდიოდა და საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიღწეულ შეთანხმებაზე საუბრობდა. ის წერს, რომ ამ შეთანხმებით საქართველომ აიცილა რუსეთის მიერ დაგეგმილი დესტაბილიზაცია ქვეყანაში, ანუ პირდაპირ მიანიშნა, რომ ეს ოპოზიცია, თუ გავითვალისწინებთ, რას აკეთებდნენ, როგორ შემოიყვანეს სამხედრო ბაზები საქართველოში, მთელი ეკონომიკა რუსეთს როგორ ჩაუგდეს ხელში, სტრატეგიული ობიექტები როგორ გადასცეს, სწორედ ამ შეთანხმებით, ფაქტობრივად, რუსეთის შესაძლებლობები განეიტრალდაო.

ამ ფონზე ცოტა ხნის წინ ესტონეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა (რომელიც ნატოს წევრი ქვეყანაა და მხოლოდ მათი დაზვერვის სამსახურების მონაცემები არ იქნება) პირდაპირ განაცხადა, რომ, მათი ინფორმაციით, რუსეთი საქართველოს არჩევნებში ჩარევას აპირებს.

– ვისი საშუალებით აპირებს რუსეთი საქართველოს არჩევნებში ჩარევას?

– რა თქმა უნდა, ამ მე-5 კოლონისა და რბილი ძალის მეშვეობით, რომელიც ხელისუფლების დროს რუსეთზე მუშაობდა და ხალხის საწინააღმდეგოდ საქმიანობდა.

– კი მაგრამ, ნაციონალები პრორუსებს სხვებს რომ უწოდებენ და რუსულ გავლენებზე საუბრობენ?

– ეგ მათი სტრატეგიაა. იმ ფონზე, როდესაც საქართველო ძალიან დაუახლოვდა ნატოს, საქართველო ნატოს უსაფრთხოების შავი ზღვის პროგრამაში უნდა ჩაერთოს, ქვეყნის ტერიტორიაზე ნატოს საწვრთნელი ბაზა გაიხსნა, ვინ ვისზე და რაზე მუშაობს, ჩანს. ახლა ჯაველინები მოგვყიდეს, რაც აქამდე არ მომხდარა, ფაქტობრივად, გასაიდუმლოებული სამხედრო ტექნიკა.

– ეს ღია ინფორმაციაა?

– დიახ. ჩვენ ადრეც მოგვყიდეს ჯაველინები. ახლაც, ოფიციალურად, შეერთებულმა შტატებმა მიიღო გადაწყვეტილება და კიდევ ღიად მოგვცეს საშუალება, რომ შევისყიდოთ ეს ძალიან ეფექტური იარაღი.

ევროკავშირთან დაახლოების პროცესი წავიდა, უკვე ისმის საუბრები იმის შესახებ, რომ საქართველო ნატოში რაც შეიძლება დაჩქარებულად უნდა მიიღონ. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, რუსეთი გააქტიურებულია. შეხედეთ, საქართველოში რა სიტუაციაა, როგორ ცდილობენ გარკვეული ოპოზიციური ძალები საქართველოს დისკრედიტაციას საერთაშორისო დონეზე, ქვეყანაში დესტაბილიზაციასა და პანიკის დათესვას.

გაგახსენებთ, 2015 წელს, მსოფლიო საფინანსო კრიზისის დროს, ვალუტის კურსის ვარდნა რომ დაიწყო, ნაციონალები და მათი ტელევიზია როგორ ცდილობდნენ პანიკის დათესვას, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ კოლაფსი მომხდარიყო.

– მიუხედავად იმისა, ნაციონალებმა შეთანხმებას ხელი მოაწერეს, გამუდმებით ე.წ. პოლიტპატიმრებზე საუბრობენ, ამბობენ, რომ თუ მათ ე.წ. პოლიტპატიმრებს არ გაათავისუფლებენ, შეიძლება, შეთანხმება ჩაიშალოსო.

– თვითონ მაგ ულტიმატუმის წამოყენება ხომ იმას ნიშნავს, რომ მათ არ უნდათ საარჩევნო პროცესში მონაწილეობა. რომელ პოლიტპატიმრებზეა საუბარი? როგორ გგონიათ, საქართველოს ხელისუფლება მათზე იტყვის, პოლიტპატიმრები არიანო? ეს ხომ წინასწარ ისეთი ულტიმატუმია, რომლის შესრულებაც შეუძლებელია. მათ არ უნდათ შეთანხმება. ამიტომ მოლაპარაკების პროცესი განწირულია, რაც უნდა შესთავაზო. მათ უნდათ დესტაბილიზაცია, უნდათ, არჩევნების მეორე დღეს გამოაცხადონ, რომ არჩევნები არალეგიტიმური იყო, ქვეყანა აურიონ და რუსეთი ჩაერიოს, რასაც ამბობენ ევროპული სპეცსამსახურები.

– ევროპასთან დაახლოების ფონზე, მოგეხსენებათ, საარჩევნო კანონთან დაკავშირებით ნაცებმა უცხოეთში როგორ იმუშავეს და ხელისუფლებას გარკვეული პრობლემებიც შეუქმნეს. ახლა ევროსაბჭოს დელეგაციაა ჩამოსული, ანუ მათ ევროსაბჭოსაც გაუჩინეს ეჭვი.

– მთელი ევროკავშირი და აშშ ანუ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები დაინტერესებული არიან საქართველოში სტაბილური სიტუაციით, რადგან საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია აქვს. ეს ორმხრივი ინტერესია, რადგან აქ გადის ალტერნატიული ნავთობსადენები, დერეფნები, სატრანსპორტო გზები, აბრეშუმის გზა.

მათ ძალიან აინტერესებთ საქართველოს გეოპოლიტიკური გაძლიერება და სტაბილურობა. მათი განცხადებები დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოს როგორმე აარიდონ რუსული გალენა. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი მხარეა, ცდილობენ, იქნებ როგორმე საქართველოს აარიდონ პრობლემები, რომ თავისი გეოპოლიტიკური ფუნქცია არ დაკარგოს.

ვის უნდა, საქართველომ თავისი გეოპოლიტიკური ფუნქცია დაკარგოს, რა თქმა უნდა, რუსეთს. ამას საზოგადოება უნდა მიხვდეს.

ლიბერთი ბანკი თავის მომხმარებლებს სესხებზე 3-თვიან შეღავათებს სთავაზობს

ლიბერთი ბანკმა, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის, თავის მომხმარებლებსა და თანამშრომლებზე ზრუნვის და ასევე, სერვისცენტრებში მომხმარებლის ნაკადის შემცირების მიზნით მიიღო კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომ ყველა ფიზიკურ პირს, რომლებსაც გააჩნიათ სასესხო ვალდებულებები, შესთავაზოს 3-თვიანი საშეღავათო პერიოდი.

დღეიდან შეთავაზება ავტომატურად ვრცელდება სახელმწიფო სარგოს მიმღებ პირებზეც (პენსია, სოციალური სარგო, დევნილობა და დემოგრაფიული) და მომავალი 3 თვის განმავლობაში არც ერთ სოციალური სარგოს მიმღებ პირს არ ჩამოეჭრება სესხის მომსახურების თანხები.*

ასევე, ქვეყანაში შექმნილი გარემოების გამო, ლიბერთი ითვალისწინებს ტურიზმის სექტორის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების გამოწვევებს და ამ სექტორში მოქმედ მომხმარებლებს შესთავაზებს დროულ, მოქნილ და მათი ბიზნესის საჭიროებებზე მორგებულ შეღავათიან პირობებს. ბანკი ორშაბათიდან მომხმარებლებს დეტალურ ინფორმაციას შეღავათებთან დაკავშირებით მიაწვდის ინდივიდუალურად.

„გადაწყვეტილება მივიღეთ 12 მარტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ეროვნული ბანკისა და საბანკო სექტორის წარმომადგენლების მიერ ეკონომიკური სტიმულირების გეგმის განხილვის შემდეგ, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიოში შექმნილი პანდემიური ვითარების შესაძლო უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას. ლიბერთი ემსახურება ჩვენი ქვეყნის ყველაზე მოსაფრთხილებელ სეგმენტს და პასუხისმგებლობა გვაქვს, გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ მათ მაქსიმალურად უსაფრთხო გარემო შევუქმნათ. მოვუწოდებთ ჩვენს მომხმარებლებს, ისარგებლონ დისტანციური მომსახურებით და შევახსენებთ, რომ სოციალური ბარათებით გადახდისას შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ მათზე მორგებული, სპეციალური ფასდაკლებებით ევექსი კლინიკების, ფარმადეპოს აფთიაქებისა და ნიკორას სუპერმარკეტების ქსელში მთელი ქვეყნის მასშტაბით“, – განაცხადა ლიბერთის გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხოდელმა.

* მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, შეთავაზების შეჩერება შესაძლებელი იქნება ლიბერთის ბანკომატებიდან, ბანკში ვიზიტის გარეშე

ნებისმიერი შეკითხვით მომხმარებლებმა უნდა მიმართონ ბანკის ცხელ ხაზს: 032 255 55 00

დავით უსუფაშვილი: „სასამართლოში პრობლემა არა ცუდმა მოსამართლეებმა, არამედ პოლიტიკოსებმა შექმნეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მოსამართლეებისგან მომდინარე, არამედ მოსამართლეების დაქვემდებარების ინტერესებით შეპყრობილი რეჟიმების პრობლემა.

ამ რეჟიმებს ნაციონალური მოძრაობის პერიოდშიც და „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდშიც პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ხალხი ქმნიდა. სასამართლოც მათ მიიყვანეს ამ მდგომარეობამდე, რომელშიც დღეს იმყოფება.

ამიტომ მე თემაზე ვსაუბრობ იმგვარად, რომ საქართველოში კვალიფიციური და პატიოსანი იურისტების პრობლემა არ არის. საქართველოში იყო და რჩება პრობლემა იმ ტიპის პოლიტიკური გუნდების თვალსაზრისით, რომლებსაც ხელისუფლების დანაწილების სქემა სათანადოდ აქვთ გააზრებული და არ შეეცდებიან ან არ ცდილობენ თავიანთ ნებასთან დაქვემდებარებას – ეს იქნება თვითმმართველობა, სასამართლო, უშიშროების სამსახურები თუ სხვა.

– დღეს კორონავირუსი არის მსოფლიოში სერიოზული გამოწვევა, მათ შორის საქართველოშიც. ხომ არ ფიქრობთ, რომ ის მოახდენს გავლენას პოლიტიკაზე? კონსტიტუციაში არის ჩანაწერი, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა ჩერდება, თუ გამოცხადდება საგანგებო მდგომარეობა. დიდი მსჯელობის შემდეგ მოხერხდა შეთანხმება საარჩევნო მოდელზე და ხომ არ ემუქრება საფრთხე მის განხორციელებას?

– კორონავირუსი მხოლოდ ქართულ პოლიტიკურ პროცესს კი არა, მსოფლიო გლობალურ ფუნქციონირებას დაემუქრა ისე, რომ ნახევარი მსოფლიო პარალიზებულია. ამიტომ ამ ვითარებაში ჩვენ უნდა ვისურვოთ, რომ საქართველოშიც და სხვაგანაც რაც შეიძლება მალე მოხერხდეს სიტუაციის კონტროლში მოქცევა. თუ ასე არ მოხდა, ჩვენი ფუნქციონირების ყველა უბანსა და ასპექტს შეეხება, იქნება ეს ინდივიდუალური, ოჯახური თუ სახელმწიფოებრივი და ყველაფერს სერიოზულ ზიანს აყენებს ეს ვირუსი.

ამიტომ, მე ვფიქრობ, ეს კითხვა უფრო რიტორიკულია, ვიდრე კონკრეტული. იმდენად გლობალური მასშტაბისაა საფრთხე და იმდენად გლობალურად ემუქრება ყველას და ყველაფერს, რომ აქ ახლა ჩვენი საკონსტიტუციო პროცესი ზღვაში წვეთია. ზღვაში წვეთია იმ პრობლემებთან შედარებით, რომელსაც ვირუსი ქმნის. იმედი მაქვს, ეს პრობლემა გლობალურად მოგვარდება და არც ჩვენ შეგვექმნება საფრთხეები.

– უმკლავდება თუ არა დღეს არსებულ გამოწვევებს საქართველოს ხელისუფლება როგორც ჯანდაცვის, ისე ეკონომიკური გამოწვევების მხრივ?

– მთავრობის ბოლო მოქმედებები როგორც უშუალოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ისე ეკონომიკური და ფინანსური ინსტრუმენტების ამოქმედების მიმართულებით ის გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც „ლელოს“ პოზიციებს ძალიან ემთხვევა. ჩვენ ბოლო 2-3 დღეში გვქონდა რამდენიმე საჯარო ღონისძიება, სადაც გავაჟღერეთ ამ ტიპის ღონისძიებანი, როგორც ფინანსური მექანიზმების შექმნა, ისე საბანკო სექტორის მხრიდან შეღავათები მოსახლეობაზე.

ასე რომ, ის პოზიციები, რომლებიც ჰქონდა „ლელოს“ და რაზეც ამ ბოლო დღეების განმავლობაში აქტიურად ვსაუბრობდით, ეს ხედვები აქვს მთავრობასაც და ამ მიმართულებით გადადგა მან ნაბიჯები.

მთავრობის მხრიდან გადადგმულ ამ ნაბიჯებს ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის მხარდაჭერა აქვს.

ვინ ყიდულობს დოლარს, ვინ ახდენს დოლარით სპეკულირებას და ვინ შოულობს ამ გასაჭირში ფულს

დავით ჭიჭინაძე მიმართავს პრემიერ-მინისტრს, ეკონომიკურ გუნდს და სებ-ს.

მისივე თქმით, პირველ რიგში ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობითა და ლარის კურსის მკვეთრი ვარდნით ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს, რადგან სხვა შემთხვევაში ჩვენს მოქალაქეებს უკიდურესი სიღატაკისთვის გავწირავთ.

ფაქტია, „ვიღაც“ ყიდულობს დოლარს, ახდენს დოლარით სპეკულირებას და ამ გასაჭირში ფულს შოულობს. ლარის კურსის ასეთი კატასტროფული ვარდნის სხვა ახსნა ნამდვილად არ მაქვს! – აცხადებს ჭიჭინაძე.

– ფაქტია, ქვეყანაში ტურისტული მოძრაობა შეჩერებულია, ვაჭრობა პრაქტიკულად ყველა მიმართულებით გაჩერებულია, გადარიცხვები, ფულის გადინება ქვეყნიდან თითქმის არ ხდება. დოლარზე მოთხოვნაც იმდენად შემცირებული იყო, რომ ლარმა გამყარებაც კი დაიწყო.

მაგრამ ბოლო პერიოდში რეალობა ისე შეიცვალა და ლარმა კურსმა ყველა ისტორიული ნიშნული გადალახა. და ეს ეს პროცესი ბანკების მხრიდან საკრედიტო მომსახურების გადავადების ფონზეც კი არ ჩერდება!

ჩნდება ლეგიტიმური კითხვა:

ვინ ყიდულობს დოლარს, ვინ ახდენს დოლარით სპეკულირებას და ვინ შოულობს ამ გასაჭირში ფულს?!

ამიტომ მივმართავ პრემიერს, ეკონომიკურ გუნდსა და სებ-ის ხელმძღვანელს, დაინტერესდნენ ამ საკითხით და გამოიძიონ, რატომ ხდება ლარის კურსის ასეთი კატასტროფული ვარდნა.

იმიტომ, რომ კურსის ზრდა კორონავირუსზე არანაკლებ პანიკას იწვევს და ყველა ღონისძიება იქნება წყალში გადაყრილი, თუ ამ ფაქტს არ გამოვიძიებთ!

ან ვაჭრობა უნდა შეაჩერონ, იმიტომ, რომ ეს არის მსოფლიო პრაქტიკა, როდესაც ასეთი ვარდნები ხდება, ვაჭრობა, საფონდო ბირჟები ჩერდება.

ხოლო ეს შეუქცევადი პროცესი რომ დაიწყო, ამის ნათელი მაგალითი აშშ-ის საფონდო ბირჟების სერიოზული ვარდნებიცაა.

მოკლედ, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან რეგულაცია და სახელმწიფოს აქტიური ჩარევა.

მთავრობა ასევე ორიენტირებული უნდა იყოს, რომ შექმნას ქვეყანაში რეზერვები, სასურსათო იქნება ეს თუ საწვავის, რათა თუნდაც საგაზაფხულო სამუშაოები სახელმწიფომ დააფინანსოს და ასევე ის პროგრამები, რომლებიც დღეს პრაქტიკულად შეჩერებულია.

სხვა შემთხვევაში ჩვენს მოქალაქეებს, პირველ რიგში კი ყველაზე დაუცველ ფენას, უბრალოდ, უკიდურესი სიღატაკისთვის გავწირავთ, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

„ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წესის დარღვევით აქვს წარდგენილი“

– ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი დადგენილი წესის დარღვევით აქვს წარდგენილი და არა 24 საათში, როგორც ამას კანონი მოითხოვს.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა ჟურნალისტებს 13 მარტს სასამართლო პროცესის დაწყებამდე განუცხადა.

როგორც ჭაბაშვილი განმარტავს, სახელმწიფო ბრალდებას ირაკლი ოქრუაშვილის საქმეზე მტკიცებულებები კანონის დარღვევით აქვს მოპოვებული.

– წინა სასამართლო სხდომაზე გარკვეული შუამდგომლობები დავაყენეთ, პროკურორსაც ჰქონდა შუამდგომლობა. თუმცა, მოგეხსენებათ, ზურაბ ადეიშვილის დაცვაში ახალი ადვოკატი ჩაერთო და მას საქმის გასაცნობად ვადა მისცა სასამართლომ. გასულ სხდომაზე გარკვეული მტკიცებულებების დაუშვებლობის შუამდგომლობა დავაყენეთ.

ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი დადგენილი წესის დარღვევით აქვს წარდგენილი და არა 24 საათში, როგორც ამას კანონი მოითხოვს, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი აზრით, არაკანონიერად მოპოვებული მტკიცებულებაა ტელეფონის ნომერი, რომელიც ჟვანიას საქმიდან ამოიღეს.

– მხოლოდ დოკუმენტების ნაწილი გადმომცეს და ტელეფონთან წვდომა არ მაქვს, რომ მასზე ექსპერტიზა ჩავატარო. როცა პროკურატურას მოვთხოვე, სამხარაულის ეროვნულ ბიუროში ტელეფონი წარედგინათ, მათგან პასუხი მივიღე, რომ ამ ნივთის ბედი მათთვის უცნობია. საშუალებას არ მაძლევენ, ამ მტკიცებულებაზე წვდომა მქონდეს, – აღნიშნა ჭაბაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ახალი ბრალი რამდენიმე დღის წინ წაუყენეს. ორივე მათგანს ბუტა რობაქიძის საქმეზე სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებიან.

ირაკლი ოქრუაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ბრალი საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან რვა წლამდე ვადით.

ბესიკ თამლიანი პატიმრობაში დატოვეს



20 ივნისის საქმეზე დაკავებული ბესიკ თამლიანი კვლავ პატიმრობაში რჩება. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ალექსანდრე იაშვილმა 13 მარტს გამოაცხადა.

თამლიანის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით, 1.000-ლარიანი გირაოთი შეცვლის შუამდგომლობა ბრალდებულის ადვოკატმა ლევან იოსელიანმა დააყენა.

აღნიშნულ შუამდგომლობას ბრალდების მხარე არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ბრალდებულის მხრიდან მიმალვისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე კვლავ არსებობს.

მოსამართლის გადაწყვეტილებას ბესიკ თამლიანის უკმაყოფილება მოჰყვა. ალექსანდრე იაშვილმა ის წესრიგის დარღვევის გამო სხდომათა დარბაზიდან გააძევა. სასამართლოს სხდომათა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვეს თამლიანის ოჯახის წევრებმაც. ისინი აცხადებდნენ, რომ თამლიანის პატიმრობაში დატოვება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

ბესიკ თამლიანის ადვოკატის, ლევან იოსელიანის განცხადებით, მან სასამართლოს თამლიანის მიმართ ელექტრონული სამაჯურის გამოყენებაც შესთავაზა.

– მიგვაჩნია, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სტანდარტს, რის გამოც შეიძლება ადამიანი იმყოფებოდეს საპატიმროში. ჩვენ საკმაოდ კარგად დავასაბუთეთ, რომ არ არსებობს ბესიკ თამლიანის მიმალვის საფრთხე და თუკი ასეთი საფრთხე არსებობს, სასამართლოს შევთავაზეთ, რომ მისთვის ელექტრონული სამაჯური გაკეთებინათ, ვუთხარით, რომ ამოწურულია ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვა და შესაბამისად, აღარ არსებობს მათზე ზემოქმედების საფრთხე.

წარვუდგინეთ უამრავი დოკუმენტი, რომელიც ბესიკ თამლიანს ახასიათებს, როგორც ძალიან დადებით პიროვნებას. არანაირი წინაპირობა იმისა, რომ მისი პატიმრობა გაგრძელდეს, აღარ არსებობს.

სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებით და იმედი მაქვს, გამამართლებელი გადაწყვეტილება იქნება პასუხი ყველა იმ უკანონო გადაწყვეტილებაზე, რაც აქამდე იქნა მიღებული, – განაცხადა ადვოკატმა ლევან იოსელიანმა.

ბესიკ თამლიანის საქმის პროკურორის, ვაჟა თოდუას, განცხადებით, თამლიანს საპროცესო შეთანხმება 2-ჯერ შესთავაზეს, თუმცა მან უარი განაცხადა.

– ბრალდების მხარე არ დაეთანხმა დაცვის მხარის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით, ვინაიდან ამის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარეს მიაჩნია და სასამართლომაც გაიზიარა აღნიშნული, რომ არსებობს ბრალდებულის მხრიდან მიმალვის, ასევე ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რის გამოც ბრალდებული პატიმრობაში დატოვა, – განაცხადა პროკურორმა.

მისი თქმით, მოცემულ შემთხვევაში ახალი გარემოება არ ყოფილა გამოკვეთილი, რის გამოც თამლიანი სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. – ბესიკ თამლიანს, ასევე მის დედას 2-ჯერ, 13 და 21 თებერვალს შევთავაზეთ საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რაც მის საპატიმრო დაწესებულებიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას გამოიწვევდა, თუმცა, ბესიკ თამლიანმა უარი განაცხადა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე და საქმის არსებითი განხილვა მოითხოვა, – დასძინა პროკურორმა ვაჟა თოდუამ.

20 ივნისის საქმეზე დაკავებულ ბესიკ თამლიანს ბრალი ედება ჯგუფურ მოქმედებში მონაწილეობაში, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა.

აღნიშნული ბრალი 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ მკვლელობის მცდელობისთვის ნ.ხ. დააკავა

პოლიციამ გლდანში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა.

დაკავებულია 1 პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული ნ.ხ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 11 მარტს, გლდანში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ, ურთიერთშელაპარაკებისას, 1975 წელს დაბადებულ თ.გ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სამართალდამცველებმა, დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

იტალიაში ქართველი დედა-შვილი გარდაცვლილი იპოვეს

იტალიაში, ქალაქ ბარიში, საქართველოს მოქალაქე დედა-შვილი გარდაცვლილი იპოვეს. იტალიური მედიის ინფორმაციით, გარდაცვლილები არიან 41 წლის ქალი და 16 წლის მოზარდი.

დედა-შვილი დანტეს ქუჩა №391-ში, ლიბერტას უბანში იპოვეს.

მიზეზი, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა.

ადგილზე მუშაობდა პოლიცია. საქართველოს საკონსულო სამსახური იტალიაში კომუნიკაციაშია სამართალდამცავებთან.

მარტვილში 2 უკანონო სახერხი გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მარტვილის მუნიციპალიტეტში ორი დაურეგისტრირებელი სახერხი საამქრო გამოავლინეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ სალხინოში – ლენტური ტიპის, სოფელ თამაკონში კი ცირკული ტიპის უკანონო სახერხი საამქროები გამოავლინეს. საამქროების მიმდებარედ, მოქალაქეებს, ჯამში, 200 ერთეულზე მეტი წიფლისა და ფიჭვის სახეობის ფიცარი ჰქონდათ განთავსებული.

ორივე საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებშია გადაგზავნილი.

თვითიზოლაციის წესების დარღვევისთვის იძულებით კარანტინში 9 ადამიანი გადაიყვანეს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით აქტიურად აგრძელებს. ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითიზოლაციის წესების დარღვევის ახალი ფაქტები გამოვლინდა.

ხარაგაულიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, მარნეულიდან, ქობულეთიდან და ბათუმიდან 9 მოქალაქე, რომლებმაც თვითიზოლაციის წესები დაარღვიეს, იძულებით საკარანტინო ზონაშია მოთავსებული.

ამ დროისათვის, თვითიზოლაციის წესების დარღვევის გამო, საკარანტინო ზონებში იძულების წესით 12 ადამიანია გადაყვანილი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და პატივი სცეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის გადაწყვეტილებებს.

შსს თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით აქტიურად განაგრძობს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძის ბრიფინგი

საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს 24-საათიან, საგანგებო რეჟიმში მუშაობას.

სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით აქტიურად განაგრძობს.

ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თბილისში, აჭარაში, იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში თვითიზოლაციის წესების დარღვევის ფაქტზე გამოვლინდნენ დამრღვევი პირები, რომლებიც გადაყვანილი არიან იძულებით საკარანტინო ზონაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და პატივი სცეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის გადაწყვეტილებებს.

შინაგან საქმეთა მინისტრი, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი – „112“, მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და სატელეფონო ზარების საშუალებით, თვითიზოლაციაში მყოფ პირებს პერმანენტულად აწვდის ინფორმაციას და აფრთხილებს.

ასევე, საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი 24-საათიან რეჟიმში ახორციელებს საკარანტინო ზონების მონიტორინგსა და დაცვას.

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მოვუწოდებთ მოქალაქეებს, ისარგებლონ ელექტრონული სერვისებით (https://www.police.ge) და მომსახურების საგენტოს (https://www.sa.gov.ge), ერთიანი მომსახურების ცენტრებს (ტელეფონი: 2414242) და მიგრაციის დეპარტამენტს (ტელეფონი: 2419607; 2419634; ელ.ფოსტა:migration@mia.gov.ge) მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მიმართონ. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა შესაძლო სტრუქტურული ერთეული, რომლებსაც შესაძლებლობა გააჩნიათ, გადაყვანილია დისტანციური მუშაობის რეჟიმზე.

იტალიაში ჩინელი ექიმების ჯგუფი ჩაფრინდა

ჩინეთის სამედიცინო ჯგუფი იტალიაში ჩავიდა. ჩინელმა ექიმებმა ქვეყანაში სამედიცინო აღჭურვილობა, დამცავი ნიღბები და მედიკამენტები ჩაიტანეს.

სამედიცინო დახმარება 2 მილიონამდე სახის ნიღაბსა და 700-ზე მეტ სასუნთქ მოწყობილობას მოიცავს. სამედიცინო გუნდში ის ინტენსიური თერაპიის სპეციალისტები, პედიატრები და ექთნები არიან, რომლებიც ჩინეთში კრიზისის მართვაში მონაწილეობდნენ.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ლუიჯი დი მაიო ჩინელი ექიმების ჩასვლას ქვეყანაში ფეისბუქით გამოეხმაურა.

„დღეს იტალია მარტო აღარ არის. მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ადამიანი მხარს გვიჭერს“, – აღნიშნა მაიომ.

შეგახსენებთ, იტალია კოვიდ-19-ისგან ჩინეთის შემდეგ ყველაზე მეტად დაზარალდა. 12 მარტის მონაცემებით, ვირუსით ქვეყანაში 15.000-ზე მეტი ადამიანი დაინფიცირდა, ხოლო დაღუპულთა რაოდენობამ 1.000-ს გადააჭარბა.

ესპანეთში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

13 მარტს ესპანეთში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც 1 დღეში ქვეყანაში კორონავირუსის 1.200-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, დაავადებულთა რაოდენობა კი 4.209 შეადგენს.

1 დღე-ღამის განმავლობაში გარდაცვლილია 120 ადამიანი. დაინფიცირებისა და გარდაცვალების შემთხვევათა ნახევარზე მეტი მადრიდსა და მის შემოგარენში დაფიქსირდა.

მადრიდის რეგიონულმა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, შაბათიდან ყველა მაღაზია დაკეტოს. იმუშავებენ მხოლოდ აფთიაქები და სუპერმარკეტები.

პრემიერ-მინისტრმა პედრო სანჩესმა მოსახლეობას მიმართა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შესახებ აცნობა.

შეზღუდვა ვრცელდება ადამიანებისა და ტრანსპორტის მოძრაობაზე.

მანამდე კი, მთავრობის გადაწყვეტილებით, ესპანეთის 4 ქალაქი: იგუალადა, ოდენა, სანტა მარგარიდა დე მონბუი და ვილანოვა დელ კამი საკარანტინო ზონად გამოცხადდა.

ჩინეთში კომპანიების 95%-მა მუშაობა განაახლა

ჩინეთში, ჰუბეის პროვინციის მიღმა არსებული მსხვილი კომპანიების 95%-მა მუშაობა განაახლა. ჩვეულ სამუშაო რეჟიმს დაუბრუნდა მცირე კომპანიების 60%-ზე მეტი.

ინფორმაციას ამის შესახებ ინდუსტრიის ვიცემინისტრი ქსინ გუობინი ავრცელებს.

მისივე თქმით, ქვეყანა სატრანსპორტო მიმოსვლაზე მკაცრი შეზღუდვების თანდათან მოხსნას იწყებს.

ჩინეთის ძირითად ტერიტორიაზე 13 მარტს კორონავირუსის მხოლოდ 21 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა.

მათგან რამდენიმე იმპორტირებულია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გოგონას კუჭიდან სამი კილოგრამი თმა ამოუღეს

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში გოგონას, რომელსაც სამი კილოგრამი თმა ჰქონდა შეჭმული, ოპერაცია გაუკეთდა.

15 წლის გოგონა, სახელად შივანი, სულ 29 კილოგრამს იწონიდა, იმაზე გაცილებით მცირეს, ვიდრე მისი ჯანმრთელი თანატოლები იწონიან. საავადმყოფოში მისი გამოკვლევის დროს მის კუჭში თმების უზარმაზარი გორგალი აღმოაჩინეს. სწორედ ის წარმოადგენდა გოგონას საკვების მომნელებელი სისტემის პრობლემის მიზეზს.

როგორც გაირკვა, შივანი ბავშვობიდან ჭამდა საკუთარ თმებს. ისინი მის კუჭში გროვდებოდა, სანამ სამკილოგრამიან სქელ მასად ე.წ. ტრიხობეზორად არ იქცა.

უცხო სხეულის მოშორების შემდეგ გოგონამ საავადმყოფოში მკურნალობა გააგრძელა, რათა კუჭში თმების მორიგი გროვის წარმოქმნა არ მომხდარიყო. მას მავნე ჩვევის, თმების კვნეტისთვის თავის დანებება მოუწევს.

პითონმა ძუნწი ცოლ-ქმარი შეაშინა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ გეპში, დაახლოებით ორი მეტრი სიგრძის პითონმა სახლში შეაღწია და მისი მცხოვრებლები შეაშინა.

ჯასტინ ტოზერმა და მისმა მეუღლემ ქვეწარმავალი აღნიშნულ შემთხვევამდე ორი დღით ადრე შენიშნეს. ის სახლში ფანჯრიდან იყურებოდა.

– ჩვენ ქალაქის საბჭოში დავრეკეთ, მერე დავურეკეთ შტატის ხელისუფლებას და პოლიციას იმის გასარკვევად, თუ როგორ მოგვეშორებინა გველი თავიდან, მაგრამ ყველგან გვირჩიეს, რომ დახმარებისთვის გველებზე კერძო მონადირისთვის მიგვემართა, – ამტკიცებს მამაკაცი. ფასიანი მომსახურება პითონის თავიდან მოსაშორებლად, ოჯახურ წყვილს 250 ავსტრალიური დოლარი დაუჯდებოდა. მათ კი იძუნწეს და თავი დაიიმედეს, რომ ქვეწარმავალი თავად გაეცლებოდა მათ სახლს.

მალე მამაკაცმა კინაღამ ფეხი დაადგა გველს, რომელსაც მის სახლში შეღწევა მოეხერხებინა და საწოლის გვერდით მოეკალათებინა.

– დილის ექვს საათზე ავდექი სამსახურში წასვლისთვის მოსამზადებლად, ქვეწარმავალი კი იატაკზე კამოდის წინ წევს, – ყვება ტოზერი, – როდესაც ის გაიშალა მთელ სიგრძეზე, ორი მეტრის მაინც იქნებოდა, მეტის თუ არა.

ამ ჯერზე მამაკაცმა და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს გველებზე მონადირე გამოეძახათ. მათ მონახეს სპეციალისტი, რომელიც ქვეწარმავლის მოშორებას ჩვეულებრივ ტარიფზე ნაკლებ ფასში დათანხმდა.

წყვილმა დღემდე ვერ დაადგინა, თუ როგორ მოახერხა ორმეტრიანმა პითონმა მათ სახლში შეღწევა, ვინაიდან მათი მტკიცებით, კარი და ფანჯრები დაკეტილი იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გამყიდველის რჩევამ ქალი გაამდიდრა

ამერიკის მერილენდის შტატის მკვიდრმა ქალბატონმა ყურად იღო მაღაზიის მოლარის რჩევა, ლატარიის ბილეთი შეიძინა და ჯეკპოტი მოხსნა.

ქალაქ ჰეიგერსთაუნის მკვიდრი, 37 წლის ტიერა პარსონი, სახლში ბრუნდებოდა, როდესაც გადაწყვიტა, სუპერმარკეტში შეევლო. საღაროსთან ქალი დიდი ხნის განმავლობაში ვერ წყვეტდა, რომელი ლატარიის ბილეთი შეეძინა. საბოლოოდ მას არჩევანის გაკეთებაში მოლარე დაეხმარა, რომელმაც სრულიად ახალი ლატარიის ბილეთის შეძენა ურჩია. პარსონმა მისი რჩევა ყურად იღო და სწორედ ახალი ლატარიის ბილეთი იყიდა.

იმავე საღამოს ქალმა შეიტყო, რომ მისი ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა და ის 100 ათასი დოლარით გაამდიდრა.

– სიხარულისგან ისე ხმამაღლა ვყვიროდი, ჩემი ოჯახის წევრებმა იფიქრეს, რომ რაღაც შემემთხვა და ყველამ ჩემთან მოირბინა, – აღიარა ამერიკელმა ქალბატონმა.

პარსონის თქმით, ის მეორე დღესვე მივიდა სუპერმარკეტში მოლარისთვის მადლობის სათქმელად და, მადლობის გარდა, 100 დოლარიც აჩუქა. მოგებული თანხით ქალი – საკრედიტო ბარათის დავალიანების დაფარვას, ხოლო დარჩენილი თანხის შვილების სწავლისთვის გადადებას გეგმავს.

თავში დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მანქანით თავად მივიდა

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოს მცხოვრებმა, რომელსაც ტყვია თავში მოხვდა, საავადმყოფომდე მისვლა მანქანით დამოუკიდებლად მოახერხა.

დაახლოებით შუაღამისას 28 წლის მამაკაცი საკუთარი ავტომობილით მგზავრობდა, როდესაც უცნობმა პირმა ესროლა. ტყვია მძღოლს თავში მოხვდა. ამის შემდეგ დაშავებულმა დამოუკიდებლად გაიარა მანქანით ორი კილომეტრი საავადმყოფომდე და სამედიცინო დახმარება ითხოვა.

ამ დროისთვის მისი მდგომარეობა მძიმედ ფასდება. პოლიცია მომხდარის გამოძიებას აწარმოებს. დაშავებულმა ვერ მოახერხა, პოლიციელებისთვის შეეტყობინებინა, ზუსტად რა ადგილზე მოხდა შემთხვევა. ასევე გაურკვეველია, უცნობი პირი სწორედ მას უმიზნებდა თუ ის შემთხვევითი მსხვერპლი აღმოჩნდა.

გაქცეული ლომი, რომელმაც მთელი ქალაქი შეაშფოთა, ძაღლი აღმოჩნდა

ესპანეთის ქალაქ მოლინა-დე-სეგურას მცხოვრებლებმა პოლიციას აცნობეს, რომ ქალაქში თავისუფლად დასეირნობდა ლომი, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ პანიკის გამომწვევი მტაცებელი სინამდვილეში უჩვეულოდ შეკრეჭილი ძაღლი აღმოჩნდა.

პოლიციელებმა უამრავი შეტყობინება მიიღეს ადგილობრივებისგან, რომ ქალაქში გაქცეული ლომი დადიოდა. მათ ცხოველი იპოვეს და დაადგინეს, რომ სინამდვილეში ის დიდი, გრძელბეწვიანი ძაღლი იყო. ცხოველს სხეული გაპარსული ჰქონდა, ხოლო ლომის ფაფრის მსგავსი ბეწვი თავსა და კისერზე ჰქონდა დატოვებული. მას ასევე კუდის წვერზეც ჰქონდა დატოვებული ფუნჯისმაგვარი ბეწვი, რაც მის ხვად ლომთან მსგავსებას აძლიერებდა.

სამართალდამცავებმა ცხოველს ჩიპი აღმოუჩინეს და მისი დახმარებით პატრონს დაუკავშირდნენ, რათა გაქცეული ძაღლი დაუბრუნონ.

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

კორონავირუსი ევროვნულ ჩემპიონატებს აფერხებს

სტატისტიკა, ფსონები

კორონავირუსის გამო ეროვნული ჩემპიონატები მხოლოდ ინგლისსა და გერმანიაში გრძელდება, თუმცა საუბრობენ იმაზეც, რომ ეს ტური მათთვისაც ბოლო აღმოჩნდეს და ჩემპიონატი შეწყვიტონ.

მანამდე კი ორივე ქვეყანაში 2 საინტერესო დერბია: ინგლისში ლივერპულური (ევერტონი-ლივერპული), გერმანიაში კი – რურის (დორტმუნდი-შალკე) დერბი.

გერმანია

14.03 დორტმუნდი-შალკე	1.43	5.00	6.80
14.03 ლაიფციგი-ფრაიბურგი	1.30	5.80	9.50
14.03 კიოლნი-მაინცი	1.85	3.85	4.00
14.03 ჰოფენჰაიმი-ჰერტა	1.97	3.65	3.70
14.03 უნიონი-ბაიერნი	11.00	6.25	1.25
15.03 აინტრახტი-გლადბახი	3.00	3.70	2.25
15.03 აუგსბურგი-ვოლფსბურგი	2.95	3.50	2.35
16.03 ვერდერი-ლევერკუზენი	3.80	4.05	1.85

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	25	16	4	4	73-26	55
2.დორტმუნდი	25	15	6	4	68-33	51
3.ლაიფციგი	25	14	8	3	62-26	50
4.გლადბახი	25	15	4	6	49-30	49
5.ლევერკუზენი	25	14	5	6	45-30	47
6.შალკე	25	9	10	6	33-36	37
7.ფრაიბურგი	25	10	6	9	34-35	36
8.ვოლფსბურგი	25	9	9	7	34-30	36
9.ჰოფენჰაიმი	25	10	5	10	35-43	35
10.კიოლნი	25	10	2	13	39-45	32
11.უნიონი	25	9	3	13	32-41	30
12.აინტრახტი	24	8	4	14	37-41	28
13.ჰერტა	25	7	7	11	32-48	28
14.აუგსბურგი	25	7	6	12	36-52	27
15.მაინცი	25	8	2	15	34-53	26
16.ფორტუნა	25	4	7	14	25-52	22
17.ვერდერი	24	4	6	14	27-55	18
18.პადერბორნი	25	4	4	17	30-54	16

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ინგლისის ჩემპიონატი 4 აპრილამდე შეჩერდა

მიკელ არტეტას კორონავირუსი აქვს

არსენალის მთავარ მწვრთნელ მიკელ არტეტას კორონავირუსი ოფიციალურად დაუდასტურდა. არტეტამ განაცხადა, რომ თავი შეუძლოდ იგრძნო და ამიტომ ტესტი ჩააბარა, რის შემდეგაც დაავადება დაუდასტურდა.

არტეტამ იმედი გამოთქვა, რომ სამსახურს მალე დაუბრუნდება.

ბუნებრივია, ინგლისის საფეხბურთო ფედერაციამ ზომები მიიღო და ჩემპიონატი 4 აპრილამდე შეჩერებულია, მთლიანად არსენალი კი კარანტინშია გადაყვანილი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები – გურამ მარგიშვილი, თამაზ დარჩიაშვილი, ირაკლი ჩიკვაიძე, ცისანა ქიტიაშვილი, მერი მამარდაშვილი, ჟიული ნიკოლაიშვილი, თამაზ ტყეშელაშვილი, ალეკო ჩახაია, ლუიზა გუმბარიძე, ვლადიმერ ტაბაღუა ღრმა მწუხარებას გამოხატავენ განუყრელი მეგობრის, სასამართლო ორგანოების თვალსაჩინო მოღვაწის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული თვითშემოქმედების ცეკვის ანსამბლ „ეხედრულის“ ცეცხლოვანი მოცეკვავის

ზაურ ჯალაღონიას

2020 წლის 12 მარტს გარდაცვალების გამო.

ზაურ ჯალაღონია იყო დიდი სათნოებითა და გულისხმიერებით აღვსილი პიროვნება, მოძრავი ვერცხლისწყალივით, ცაში მფრინავი მოცეკვავე-ხელოვანი, სამეგობროსა და ახლობლების გაჭირვებასა და ლხინში თანამდგომი, ხარობდა მეგობრის სიხარულით, მათ ტკივილს კი თვითონვე განიცდიდა. იყო მეგობრების ყველა ღონისძიებისა და შეკრების ორგანიზატორი და ბრწყინვალე იუმორით დაჯილდოებული.

ამ მწუხრის ჟამს მისი თანაკურსელები, მეგობრები თანადგომასა და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ბრწყინვალე ოჯახს, მეუღლეს, ზნეკეთილ ქალბატონ ალბინა ბაღიშვილს, მამის უსაზღვროდ მოსიყვარულე შვილებს: ქალიშვილ ხათუნას, ვაჟიშვილ დავითს, შვილიშვილებს ლუკას, თორნიკესა და იოანეს, ძმას ირვერ ჯალაღონიას, სისხლხორც ნათესავებს, განსაკუთრებით სამძიმარს ვუცხადებთ ჯალაღონიების საგვარეულოსა და მშობლიური ზუგდიდის მცხოვრებლებს ზაურ ჯალაღონიას სააქაოს ნაადრევად დატოვებისა და საიქიოში წასვლის გამო.

პანაშვიდი: 13, 14 მარტს, ქ.თბილისი, წყნეთის ქუჩა, IV კორპუსი, IV სადარბაზო, IV სართული, ბინა 98.

გამოსვენება: კვირას, 15 მარტს, 15 საათზე, წმინდა ნინოს სახელობის ტაძრიდან, საბურთალოს სასაფლაოდან.

მოგონება აწ და მარადის

აფხაზეთის ინტელიგენცია, კულტურისა და განათლების სამინისტრო, უახლოესი ნათესაობა, ძირძველი სამურზაყანოს თანშეზრდილი მეზობელ-მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი ქალბატონის, წლების განმავლობაში გალის რაიონის ახალგაზრდობის ლიდერის, აფხაზეთში საბჭოთა განათლების სისტემის რეფორმატორის, ფიზიკური სრულყოფილებისა და სულიერი სამყაროს იშვიათი ქმნილების, ბედნიერი დედისა და ბებიის, ქალბატონი

ლუიზა ლეონტის ასულ შენგელია-გითოლენდიას

მოულოდნელ გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

მისი განვლილი ცხოვრების ულამაზესი წესით ის უფრო ზეციური არსება იყო, ვიდრე მიწიერი, რითაც უზენაესის განგებით მარადისობის ბინადარი გახდა ზეციური საუფლოსი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული!

რაჟდენ ქარდავა

თსსუ აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ და თანაუგრძნობენ მანანა ციხიშვილს შვილის

გოჩა ციხელაშვილის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

რუსეთი გადაიდო, ჯერი ბელორუსზეა

ის იყო, საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა რუსეთთან სათამაშო შემადგენლობა დაასახელა, რომ „რაგბი ევროპის“ გადაწყვეტილებით, გამოჩნდა ცნობა მატჩის გადადების შესახებ, ანუ რაგბი ევროპის ჩემპიონატის მე-5 ტურის შეხვედრა საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის აღარ გაიმართება.

ასევე გადადებულია 2020 წელს ტოკიოში გასამართი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი წყალბურთში, რომელიც ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში 22-29 მარტს იყო დაგეგმილი. ბოლო ინფორმაციით, ტურნირი 31 მაისიდან 7 ივნისამდე პერიოდში ჩატარდება.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა კი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება გამოავლინა და გერმანიიდან დაბრუნებული მომდევნო 2 კვირის განმავლობაში თვითიზოლაციაში მოექცევიან.

სპორტსმენები თავს კარგად გრძნობენ, თვითიზოლაციის პერიოდს კი ისინი ერთად გაატარებენ სპეციალურად შერჩეულ ადგილზე, რომელზეც ფედერაციამ წინასწარ იზრუნა.

ჯერჯერობით გაურკვეველია 26 მარტს გასამართი შეხვედრის ბედი, სადაც საქართველოს ნაკრები „დინამო არენაზე“ ერთა ლიგის 1/2 ფინალში ბელარუსს უნდა დაუპირისპირდეს.

უეფამ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს მიერ ორგანიზებულ მატჩებს შეეხება. კორონავირუსის გამო რამდენიმე მატჩი გაურკვეველი ვადით გადაიდო, ზოგი კი უმაყურებლოდ ჩატარდება.

ჰენდერსონს ბრალდება მოუხსნეს

ემილიანო სალას ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებაში ახალი დეტალები გამოიკვეთა.

როგორც ცნობილი გახდა, სალას თავდაპირველი პილოტი დევიდ ჰენდერსონი უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდგომში დევიდ იბოტსონმა ჩაანაცვლა. ავიაკატასტროფის შედეგად სალა და იბოტსონი დაიღუპნენ. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ იბოტსონს ღამის ფრენების განსახორციელებლად შესაბამისი ლიცენზია არ გააჩნდა.

აქედან გამომდინარე, ბრიტანელმა სამართალდამცველებმა ჰენდერსონი ეჭვმიტანილად ცნეს და მკვლელობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა დეტექტივ-გამომძიებელმა საიმონ ჰაქსტერმა მოხსენება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც დევიდ ჰენდერსონს მკვლელობის ბრალდება მოეხსნა.

– სალას გარდაცვალების გარემოებები დეტალურად შევისწავლეთ. კომპლექსური საგამოძიებო პროცედურების ჩატარების შემდეგ დაიკითხა უამრავი მოწმე და კომპეტენტური ორგანიზაციის წარმომადგენელი. გამოძიების მსვლელობისას აქტიური თანამშრომლობა გვქონდა სამოქალაქო საავიაციო სამსახურისა და პროკურატურის წარმომადგენლებთან.

დორსეტის პოლიცია დევიდ ჰენდერსონის წინააღმდეგ გამოძიებას მკვლელობის ბრალდებით აღარ გააგრძელებს.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ბუტერბროდის ყიდვისას მილებულმა ხურდამ მამაკაცს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ მასკეგონის მკვიდრმა ლანჩისთვის ბუტერბროდი იყიდა და გადაწყვიტა, კუთვნილი ხურდა ფულით ლატარიის ბილეთი შეეძინა, რომელმაც მას სიმდიდრე მოუტანა.

მამაკაცი ავტოგასამართ სადგურზე შეჩერდა, რათა იქ რამე საჭმელი ეყიდა.

– იმისთვის ვიყავი გამოსული, რომ ბუტერბროდი მეყიდა. ხურდაში რამდენიმე დოლარი მომივიდა და გადავწყვიტე მომენტალური ლატარიის ბილეთი შემეძინა, – განაცხადა ამერიკელმა.

პირველმა ბილეთმა მას 10 დოლარის მოგება მოუტანა. როდესაც დამცავი ფენა მეორე ბილეთზეც გადაფხიკა, საკუთარ თვალებს არ უჯერებდა: მისმა მოგებამ 500 ათასი დოლარი შეადგინა.

– ჩემ მეგობარ გოგონას დავურეკე და დაუყოვნებლივ შეხვედრა ვთხოვე. მან მირჩია ბილეთი მაღაზიაში შემემოწმებინა და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ეს სიზმარი არ იყო. მაღაზიიდან გამოსულმა სიხარულისგან ხტუნვა დავიწყე. მას შემდეგ თავში სულ ერთი აზრი მიტრიალებს: „ეს მართლაც მოხდა ჩემ თავს?“ – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა.

მამაკაცის თქმით, მას მოგებული ფულით ახალი მანქანის და ნახმარი სწრაფმავალი ძრავიანი ნავის ყიდვა სურს. ასევე ის ნაადრევად პენსიაზე გასვლაზეც ფიქრობს.

ძაღლმა მომაკვდავ ბავშვს თათი ხელზე დაადო და განკურნა

ინგლისის ქალაქ საუთჰემპტონის მცხოვრებმა ზოი რელფმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ განიკურნა ძაღლის, სახელად ლეოს წყალობით მისი სამი წლის შვილი, რომელიც ტვინზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფებოდა.

ბიჭის, ოსკარ ჰასკელის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც საოპერაციო მაგიდაზე ტვინის იშვიათი დაავადების – მწვავე გაფანტული ენცეფალომიელიტის გამო აღმოჩნდა, ყოველდღიურად უარესდებოდა. ის თანდათან აღარ რეაგირებდა გარეშე გამღიზიანებლებზე. ექიმებმა დედა გააფრთხილეს, რომ ყველაზე უარესისთვის მზად უნდა ყოფილიყო.

ექიმებმა დედას მომაკვდავი შვილის ალტერნატიული მკურნალობის საშუალებად ძაღლთერაპია შესთავაზეს და ბავშვის პალატაში ოქროსფერი რეტრივერი, სახელად ლეო მიიყვანეს. ექიმების რჩევით, დედა ბავშვს ესაუბრებოდა და ეუბნებოდა, რომ თუ გამოჯანმრთელდებოდა, ლეკვს აჩუქებდნენ. როგორც კი ძაღლის თათი ბავშვს ხელზე დაადეს, ბავშვის ოპერაციის შემდეგ აჩქარებული მაჯისცემა ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა.

– ეს გამაოგნებელი იყო. ექიმები ტიროდნენ, უბრალოდ, სასწაული მოხდა. მას სახე გაქვავებული ჰქონდა, ერთი კუნთიც კი არ უტოკავდა და უცებ გაიღიმა, – იხსენებს რელფი. მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა და ოსკარის მდგომარეობა უმჯობესდება. ბავშვის დედამ ამ ისტორიის მოყოლა მხოლოდ ახლა გადაწყვიტა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 2. ოპერა „ნაბუკოს“ მუსიკის ავტორი; 3. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 5. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 6. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 10. მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 12. ცნობები რამის შესახებ მისი პოპულარიზაციის მიზნით; 14. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 15. სუბტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე; 16. წყალსა და წებოში გახსნილი სახატავი საღებავი.

თარაზულად: 1. მდინარე პრაღაში; 4. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 7. აჭარული ცეკვა; 9. ბოშათა წინამძღოლი; 11. რამე აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 12. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 13. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 17. ინგლისელი მწერალი ქალი, რომან „ჯეინ ეარის“ ავტორი; 18. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 19. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობაში; 20. უბანი ქუთაისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფორბსი; 2. გულაბი; 3. ტაიჭი; 5. ტუბა; 6. ჟენევა; 8. მთიელი; 11. ტაქსაფონი; 13. გრაფიკა; 14. ბალასტი; 15. ჰოსტელი; 19. ნანა.

თარაზულად: 1. ფარენგეიტი; 4. კურტაჟი; 7. რუმბულა; 9. ჭიათურა; 10. შტაბი; 12. აბერაცია; 16. რიგოლეტო; 17. მაჯონგი; 18. პარმიტანო; 20. ნეფრიტი; 21. ხაში; 22. ჰიდრანტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰოლი; 2. სინჯი; 3. თრიაქი; 5. ტენგე; 6. კუპიდონი; 8. პრეფერანსი; 10. ცისკარი; 12. კონდორი; 14. მედუზა; 15. ბატიკა; 16. ოჰარა.

თარაზულად: 1. ჰენესი; 4. სტატიკა; 7. ბენტლი; 9. ქაშერი; 11. თერაპია; 12. კარლსონი; 13. ოკეანე; 17. პრერია; 18. ანსა; 19. ფრენბურთი; 20. დინამიტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9942

ევრო — 3.3421

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7736

100 რუსული რუბლი — 3.9416

ამინდის პროგნოზი 14 მარტისთვის

17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“ გერმანულად ითარგმნა



ქართველი მწერლის არჩილ სულაკაურის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები, „სალამურას თავგადასავალი“, გერმანულ ენაზე ითარგმნა.

თარგმანი მწერალთა სახლის მხარდაჭერით განხორციელდა. ქართველი მწერლის ნაწარმოების მთარგმნელები არიან შტეფან ოტო და ვოლფგანგ ციპელი.

არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავლის“ გერმანულენოვანი წიგნი უკვე გამოცემულია. ამიერიდან გერმანელ ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართული საბავშვო ნაწარმოების მთავარი გმირების ციცინათელების მწყემსი ბაიასა და ჭიამაიების მწყემსი სალამურას თავგადასავალი წაიკითხონ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

14 მარტისთვის

ვერძი – იძულებული გახდებით, თქვენს გეგმებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოთ. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას იღებთ. **კურო** – დიდი ხნის ოცნება გისრულდებათ. თქვენი აქტიურობის გამო გარშემომყოფთა სიმპათიას იწვევთ. **ტყუპები** – ცუდ ხასიათზე ხართ, რაც თქვენს საქმიანობაზეც აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. ცდუნების აყოლა ცუდ შედეგებს გამოიწვევს. **კირჩხიბი** – სამსახურებრივი პრობლემები დღეს კვლავ თავს იჩენს. ჯანმრთელობაზე ყურადღება გაამახვილეთ. საღამო მშვიდ გარემოში გაატარეთ. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი შედარებით იზრდება. საღამოს უსიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. აუცილებლად დაამთავრეთ ძველი საქმეები. მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას. **სასწორი** – პერსპექტიული დღეა. კოლეგებთან ურთიერთობა გიუმჯობესდებათ. გელით შეხვედრა, რომელიც დიდ სიხარულს გპირდებათ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ. ბევრს ნუ იმუშავებთ. მოაწესრიგეთ დოკუმენტაცია. დააფასეთ მცირედი სიხარული. **მშვილდოსანი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. საღამოს დაისვენეთ და გაერთეთ მეგობრების წრეში. **თხის რქა** – სანამ რამეს მოიმოქმედებდეთ, კარგად დაფიქრდით, სიტუაცია გულმოდგინედ შეისწავლეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **მერწყული** – პროფესიულ საქმიანობაში ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებული იქნება და მოგებას მოგიტანთ. **თევზები** – მიუხედავად იმისა, რომ მიზეზი არ გაქვთ, მაინც აფორიაქებული ხართ. დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა ოჯახშიც და სამსახურშიც სიტუაციას გაამწვავებს.

15 მარტისთვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებული გაქვთ. არ არის გამორიცხული გრანდიოზული სკანდალი დიდი ხნის პარტნიორთან. ჩხუბი და საქმის გარჩევა ურთიერთობის სრულ გაწყვეტას გამოიწვევს. **კურო** – გიძლიერდებათ ინტერესი მისტიკის, ფილოსოფიის, კლასიკური ლიტერატურისადმი. იყავით ინიციატივიანი და მიზანს უთუოდ მიაღწევთ. **ტყუპები** – დღეს მოსალოდნელია უსიამოვნო სიურპრიზი, ავადმყოფობის გამწვავება. ფრთხილად იყავით საჭესთან ჯდომისას. ახლო ნათესავთან კონფლიქტი გელით. **კირჩხიბი** – დღეს შემოქმედებით დაკავდით. შესაძლოა თქვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალოს. დახმარებას ნუ ელით ნათესავებისა და მეგობრებისგან. **ლომი** – რომანტიკული დღეა. მამაკაცებს ახალი სასიყვარულო თავგადასავალი ცხოვრებას გაუხალისებს. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს ნათესავებთან. **ქალწული** – ფინანსური ზარალის დიდი ალბათობაა. მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. ნუ დაწვრილმანდებით. **სასწორი** – დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ მძღოლებმა, ვინაიდან მოსალოდნელია ავარიები. დღის მეორე ნახევარში ფორტუნა გიღიმით. **ღრიანკალი** – ფხიზლად იყავით და ნურანაირ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დღეს ნუ მიიღებთ. ერიდეთ ნერვულ და შარიან ადამიანებს. **მშვილდოსანი** – დაძაბული დღეა. დიდი ხნის ნაცნობთან კონფლიქტია მოსალოდნელი. ქალებისთვის იღბლიანი პერიოდია. ინიციატივას ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თხის რქა** – ძალზე კონფლიქტური დღეა, რის გამოც თავს ცუდად იგრძნობთ. ნერვებს არ აჰყვეთ და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **მერწყული** – თქვენი ცხოვრებისეული პრინციპები და იდეალები მტკიცედ დაიცავით. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა შემოქმედი ადამიანებისათვის. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **თევზები** – პასიური დღეა. არ ღირს ქალაქგარეთ გასვლა. უმჯობესია, თუ სახლში დარჩებით და დროს ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალი მღვდელს, რომელსაც წირვაზე ეჩქარება, ეკითხება:

– მამაო, ეკლესიის ეზოში მამალი რომ გავუშვა, მადლია, ჰო?

– რა თქმა უნდა, შვილო ჩემო.

– და მამალი რომ არ იყოს და ყვინჩილა იყოს, ეგეც ხომ მადლია?

– დიახ, ქალბატონო.

– ისე, წიწილაც ხომ შეიძლება? მადლში ჩამეთვლება?

– თუ გინდა, გალინა ბლანკას კუბიკები მიმოაბნიე... ოღონდ ახლა გამიშვი...

•••

სოფლის გზაზე ავტოკატასტროფა მოხდა, მანქანა ბოძს შეასკდა, არის ერთი ამბავი, ტელევიზიები მის გაშუქებას ცდილობენ და ჟურნალისტები ინფორმაციის მისაღებად თვითმხილველს ეძებენ. იქვე მამაკაცი შენიშნეს, რომელიც ამ ყველაფერს დინჯად ადევნებდა თვალს და ერთ-ერთი ჟურნალისტი ეკითხება:

– ბატონო, ორიოდე სიტყვით ხომ ვერ გვეტყვით, რა მოხდა?

– რა და ეგერ „სტოლბას“ ხედავთ?

– კი, ვხედავთ.

– მაგენმა ვერ დეინახეს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პაულო დიბალას კორონავირუსი არ დაუდასტურდა

ტურინის იუვენტუსის არგენტინელ ფორვარდ პაულო დიბალას კორონავირუსი არ დაუდასტურდა, თუმცა ის კვლავინდებურად კარანტინში იმყოფება.

თავდაპირველად იყო ინფორმაცია, რომ დიბალას ვირუსი დაუდასტურდა, მაგრამ შემდგომ იუვენტუსმა და თვითონ დიბალამაც ეს ფაქტი უარყვეს.

დიბალამ ტვიტერის თავის გვერდზე დაწერა, რომ თავს კარგად გრძნობს და გულშემატკივარს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეგახსენებთ, იუვენტუსის მცველ დანიელე რუგანის კორონავირუსი დაუდგინეს და ამის შემდეგ მთლიანად იუვენტუსი კარანტინში იმყოფება.

ჩემპიონთა ლიგა და ევროპის ლიგა დროებით შეწყდა

უეფამ 13 მარტს ოფიციალური გადაწყვეტილება მიიღო, რომ ევროპის ლიგისა და ჩემპიონთა ლიგის შეხვედრები მომავალ კვირას არ გაიმართება და ეს ორი ტურნირი დროებით შეჩერებულია.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ განვითარდება მომავალში მოვლენები და როდის განახლდება ევროტურნირები.

17 მარტს უეფა საგანგებოდ შეიკრიბება და ვარაუდობენ, რომ ევროპის ჩემპიონატი გადაიდება, თუმცა ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურებული არ არის.

იურგენ კლოპი: „ფეხბურთზე მნიშვნელოვანი ადამიანების ჯანმრთელობაა“

ლივერპულის მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი პრემიერლიგის დროებით გაჩერებას გამოეხმაურა და თქვა, რომ ამჟამად ადამიანების ჯანმრთელობა ყველაზე მნიშვნელოვანია, ამიტომ საფეხბურთო ტურნირები უნდა შეჩერდეს.

– ვფიქრობ, ამ ეტაპზე პრემიერლიგა უნდა შეჩერებულიყო და ეს აუცილებელია. იმედი მაქვს, ყველა ადამიანი ჯანმრთელი იქნება და ვირუსს მომზადებული უნდა შევხვდეთ. ასეთ დროს ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ჯანმრთელობაზე.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მწერალი გივი მარგველაშვილი გარდაიცვალა



92 წლის ასაკში ქართველი გერმანულენოვანი მწერალი, ფილოსოფოსი და უნივერსიტეტის პროფესორი გივი მარგველაშვილი გარდაიცვალა.

გივი მარგველაშვილი ქართველი ემიგრანტის ტიტე მარგველაშვილის ოჯახში ბერლინში 92 წლის წინ დაიბადა. მამა-შვილი 1946 წელს მოტყუებით აღმოჩნდნენ ბერლინის საოკუპაციო ზონაში, რასაც მათი დაპატიმრება და „გასაბჭოებულ“ საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსება მოჰყვა. მამა დახვრიტეს, შვილი კი საქართველოში ჩამოიყვანეს და ნება დართეს, თბილისში ნათესავებთან ეცხოვრა.

გივი მარგველაშვილმა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში ისწავლა და ამავე ინსტიტუტში წლების განმავლობაში მასწავლებლად მუშაობდა. გივი მარგველაშვილი წერდა რომანებს, მოთხრობებსა და პიესებს გერმანულ ენაზე, მაგრამ მისი არც ერთი ნაწარმოები არ დაბეჭდილა.

80-იანი წლების ბოლოს გივი მარგველაშვილს პირველად მიეცა უფლება, 40 წლის შემდეგ გერმანიაში ჩასულიყო. გერმანიაში გამოქვეყნდა გივი მარგველაშვილის მრავალტომიანი რომანის, „კაპიტანი ვაკუშის“, 2 ტომი, რომანები „მუცალი“ და „დიდი კორექტურა“, პროზაული კრებულები „გადაუგდებელი ხელთათმანი“, „სიცოცხლე ონტოტექსტში“.

მწერალი აღიარეს თანამედროვეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო შემოქმედად, გადაიღეს დოკუმენტური ფილმი გერმანიის ტელევიზიაში, მიიწვიეს გერსვაილერის „ქალაქის მწერლად“ გერმანიაში და ლექციების საკითხავად გერმანიისა და ამერიკის უნივერსიტეტებში.

გივი მარგველაშვილი ცნობილია, როგორც ფილოსოფოსი და გერმანული ეგზისტენციალიზმის აღიარებული სპეციალისტი. 1997 წელს გივი მარგველაშვილი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. 2006 წელს მას გოეთეს მედალი მიენიჭა, 2013 წელს კი საქართველოში დაწესდა გივი მარგველაშვილის სახელობის პრემია და მისი პირველი მფლობელი თავად გერმანელ-ქართველი მწერალი გახდა.

ლაშა ღლონტი: „გაიღიმეთ და დაიბანეთ ხელები!“

მომღერალი ლაშა ღლონტი მოგვიწოდებს ყველას, არ ვიყოთ დაძაბულები და მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ის რჩევები, რომლებსაც მედიკოსები კორონავირუსთან დაკავშირებით გვაწვდიან:

– ნუ ხართ დაძაბულები, უბრალოდ, ძალიან დაპატარავდა მსოფლიო, უამრავი საინფორმაციო საშუალებაა!

ადრე ამაზე გაცილებით უარესი სიტუაციებიც ყოფილა და მედიცინა საერთოდ კატასტროფულ მდგომარეობაში იყო. ამიტომ ნუ ნერვიულობთ.

დღეს უკვე სულ სხვა რეალობაა. უკვე ახალი პრეპარატებიც გადიან გამოცდას. მართალია, ბევრგან წამოყო თავი ინფექციამ, მაგრამ ძირითადი ინფექციის კერა – ჩინეთი – საგრძნობლად დასტაბილურდა!

ყველა ერთმანეთს ხელს შევუწყობთ და ძალიან მალე დასრულდება ყველაფერი. გარდაცვალების შემთხვევები ისედაც მცირეა და კლებისკენ იწევს. ახალი შემთხვევები, ბუნებრივია, იქნება, მაგრამ ამან არ უნდა დაგვაპანიკოს. მივეძალოთ ნიორს, სითხეებს, მივირთვათ ცხელი წვნიანი კერძები, მწვანე ბოსტნეული, დავიცვათ რეკომენდაციები!

უფალი მეფობს! ნურაფრის გეშინიათ! მეტი სიყვარული! უფალსაც ეს უნდა! სულ მალე ყველაფერი დამთავრდება და სხვანაირი, უფრო თბილი და ჭეშმარიტი ღირებულებებით სავსე მსოფლიო გვექნება!

აბა, გაიღიმეთ, დაიბანეთ ხელები და გაიხარეთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. გაზეთი, რომელიც სერგეი მესხის რედაქტორობით გამოდიოდა; 2. ხმის მიცემით მიღებული გადაწყვეტილება პარლამენტში; 3. თვითმფრინავის, გემის სვლის მიმართულება; 5. გალავნით შემოსაზღვრული უბანი ძველ თბილისში; 6. სოფლის პოლიციელი ძველად; 8. ლიეტუველი კომპოზიტორი მამაკაცი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 14. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 15. ყვავილების კონა; 19. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული, წითელ წიგნში შეტანილი კატისებრთა ოჯახის გარეული ცხოველი; 9. ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების, ბანკების გადარჩენა; 10. სოხუმის ძველი სახელწოდება; 12. უკრაინის პრეზიდენტი; 16. სადავო საკითხის საჯარო განხილვა; 17. ხურდა ფული ბრაზილიაში; 18. კუთხე საქართველოში; 20. ძველი ქართული დამწერლობა; 21. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 22. საბილიარდოს მომსახურე პირი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა